საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 21 ნოემბერი. 2017 წ. №237 (8374), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მკითხველის თხოვნით

პოზნერის პირისპირ

●

ნინო ბურჯანაძე:



მე ვარ არა პრორუსული, არამედ პროქართული პოლიტიკოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიცი, თუ რა სჭირდება საქართველოს...

⑥ ⑧

„გენგეგმით“ გადაწყდება, კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება თუ ნარმანიასი! ④

უშიშროება და დაზვერვა

ძლიერი სპეცსამსახურები ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია! ③

ლარი — გაძლიერებამდე!

დევალვაცია მომხმარებელსაც და ბიზნესსაც აჩანაგებს ②

მწერალი

ნაირა გელაშვილი მოძალადეთა გვერდით არ დადგა!

ცნობილმა მწერალმა სახალხო დამცველს „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდო დაამწყრალა!

ნაირა გელაშვილის თქმით, მისი პროტესტი „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიასა და ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ისთვის „ტოლერანტობის ქომაგის“ ჯილდოს გადაცემამ გამოიწვია.

„სახალხო დამცველის, მისი აპარატის იდეა არის ჩაგრულთა გვერდში დგომა, დაუცველთა დაცვა და არა მოძალადეების გვერდით დადგომა. მან „ნაციონალური მოძრაობის“ თავკაცებს, ბოროტმოქმედებს მიანიჭა „ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება და თანაც, 7 ნოემბრის 10 წლისთავზე, როდესაც ათი წლის წინ არნახული ხოცვა-ჟლეტა და დარბევა განახორციელა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ამ ადამიანების მონაწილეობით, ხოლო „რუსთავი-2“ ყოველთვის იყო ამ ბოროტების რუპორი და თანამოქმედი“, — აცხადებს ნაირა გელაშვილი.

„ტოლერანტობის ქომაგის“ წოდება კავკასიურმა სახლმა რამდენიმე წლის წინ მიიღო ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მხარდაჭერისთვის.

დღის ამფრაზურიდან

— ჟეჟელავა წავიდა, თან წაიღო ვაშლები,

ცარიელა კალათას დასცქერიან ბავშვები...

⑨

აჭარის მთავრობამ მწვანე კონცხის პლაჟის გასხვისება გადაიფიქრა

დიმიტრი ქუმსიშვილი სერბეთის ვიცე-პრემიერ-მინისტრს შეხვდა

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი სერბეთის ვიცე-პრემიერ-მინისტრს, ვაჭრობის, ტურიზმისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრს რასიმ ლიაიჩს შეხვდა.

რასიმ ლიაიჩისთან ერთად, საქართველოს ასევე ეწვია სერბეთის რესპუბლიკის საჯარო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მინისტრი ბრანკო რუზიჩი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სერბეთის მხრიდან პირველად განხორციელდა მაღალი რანგის წარმომადგენლების ვიზიტი.

საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, მიმართულია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისკენ. დიმიტრი ქუმსიშვილმა ვრცლად ისაუბრა რეფორმებზე, რომლებმაც მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესონ საინვესტიციო და ბიზნესკლიმატი საქართველოში.

ორმხრივ ქართულ-სერბულ ურთიერთობებზე საუბრისას, მხარეებმა ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ბევრ სფეროში მიღწეული წარმატებული თანამშრომლობის მიუხედავად, სავაჭრო-ეკონომიკურ მიმართულებებში კოოპერაციის დიდი პოტენციალი არსებობს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოსა და სერბეთს შორის ჩამოყალიბდეს ორმხრივი თანამშრომლობის კომისია, რომლის შეკრება მოხდება 2018 წლის პირველ ნახევარში ორივე ქვეყნის ვიცე-პრემიერების დონეზე.

ასევე დაიგეგმა 2018 წლის პირველ ნახევარში საქართველო-სერბეთის ბიზნესფორუმის ჩატარება, რომლის დროსაც ორივე ქვეყნის საქმიანი წრეები მსგავსი ფორმატით პირველად შეხვდებიან ერთმანეთს და ბიზნესურთიერთობებს დაამყარებენ.

* * *

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და სერბეთის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერ-მინისტრმა, ვაჭრობის, ტურიზმისა და ტელეკომუნიკაციების მინისტრმა რასიმ ლიაიჩმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და სერბეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ“.

2018 წლის ბიუჯეტის პროექტი საკრებულოდან გამოითხოვეს

პირველი საკითხი, რომელსაც თბილისის მერი მთავრობის სხდომაზე შეეხო, დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტია და აღნიშნა, რომ მთავრობის დამტკიცებამდე, საკრებულოში წარდგენილ პროექტში ცვლილებები ვერ განხორციელდება.

„წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობას ის ძირითადი პროგრამა წარვუდგინეთ, რომელიც ოთხწლიან განვითარების გეგმასა და ამ გეგმის განხორციელებისთვის შესაბამის პროექტებსა და პროგ-

რამებს მოიცავდა. ჩვენი საარჩევნო პროგრამა შვიდი ძირითადი პოლიტიკისგან შედგებოდა და მთლიანად იყო ასახული ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს თბილისს აწუხებს. შესაბამისად, ბიუჯეტში, რომელიც დღეს თბილისის საკრებულოშია წარდგენილი, ვერ ჩავერეოდით, რადგან საკრებულოს მხრიდან მთავრობა არ იყო დამტკიცებული და ამის არანაირი უფლებამოსილება არ გვქონდა. შესაბამისად, მასში ვერ შევიტანდით ჩვენს ხედვებსა და გეგმებს, თუ რა პროექტები უნდა ასახულიყო ქალაქთან დაკავშირებით“, — აღნიშნა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ ვიცე-მერს სთხოვა, საკრებულოდან ბიუჯეტის პროექტი გამოითხოვოს, რათა მასში ის კონკრეტული პროექტები აისახოს, რომელიც მომავალ წელს, ქალაქის განვითარებისთვის უნდა განხორციელდეს.

საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელები

თბილისის მერმა სსიპ-ებისა და აიპ-ების ახალი ხელმძღვანელები დაასახელა. კერძოდ, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის პოსტზე **თემურ თორდინავას კახაბერ გვანცელაძე** შეცვლის. არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი **თემურ ბოლოთაშვილი** იქნება. ის **ზურაბ წიკლაურს** შეცვლის.

ქონების მართვის სააგენტოს **ირაკლი თავართქილაძე** უხელმძღვანელებს. დავით ნარმანიას მერობის პერიოდში ამ თანამდებობას **კარლო ლაფერაძე** იკავებდა.

რაც შეეხება შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას, მას **მამუკა კობახიძე** უხელმძღვანელებს, რომელმაც **ნუგზარ ჭეიშვილი** შეცვალა. კახა კალაძის ხელმძღვანელობით, თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის პირველი სხდომა გუშინ გაიმართა.

ფინანსთა ახალმა მინისტრმა მოადგილეები არ შეცვალა

ფინანსთა ახალმა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მოადგილეები არ შეცვალა. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის პირველ მოადგილედ **გიორგი თაბუაშვილი** დარჩა. ასევე მოადგილის თანამდებობები შეინარჩუნეს — **გიორგი კაკაურიძემ, ნიკოლოზ გაგუამ, ცოტნე ყავლაშვილმა, ლაშა ხუციშვილმა და ლერი ბარნაბიშვილმა.**

სასამართლო სისტემის ინსპექტორი ქეთევან ცინცაძეა

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ სასამართლო სისტემის ინსპექტორი დაამტკიცა. დამოუკიდებელი ინსპექტორი ქეთევან ცინცაძე გახდა, რომელიც ამ დრომდე უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანაშემწედ მუშაობდა.

„კონკურსი არ იყო ძალიან დიდი და ეს იყო ოპტიმალური გამოსავალი. ვინაიდან, თუკი ჩვენ არ ავირჩევდით რომელიმე კანდიდატს, იუსტიციის საბჭო კვლავ დაარღვევდა კანონს და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არის გამოსავალი,“ — განაცხადა საბჭოს წევრმა ნაზი ჯანეზაშვილმა. საქართველოში დამოუკიდებელი ინსპექტორი ახალი ინსტიტუტია, რომელიც შეიქმნა ე.წ. მესამე ტალღის სასამართლო რეფორმის ფარგლებში. დამოუკიდებელ ინსპექტორს დისციპლინური სამართალწარმოება დაევალება, ასევე, მოსამართლის საქმიანობის შესწავლა, შესაბამისი დასკვნის მომზადება და იუსტიციის საბჭოსთვის წარდგენა.

აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა ერთიანი ბაზა შეიქმნება!

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულთა ერთიან მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

„საუბარია იმაზე, რომ მაქსიმალურად გავამკაცროთ და დავარეგულიროთ ის სფერო, რომელსაც ასეთი ზიანი მოაქვს მთლიანად ქვეყნისთვის. ეს განსაკუთრებით ეხება არასრულწლოვანთა და მოზარდთა ჩართულობას აზარტულ თამაშებში. საერთაშორისო კლასიფიკაციით ეს ითვლება დაავადებად, აქედან გამომდინარე საჭიროა გარკვეული ჩარევა სახელმწიფოს მხრიდან. გასაგებია, რომ დღესაც აკრძალულია არასრულწლოვნების ჩართულობა ამ დარგში, მაგრამ სამწუხაროდ, ახერხებენ სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, განსაკუთრებით ონლაინ თამაშებით ჩართვას,“ — განაცხადა ზოიძემ.

მისივე თქმით, ამასთან საბრძოლველად პირველი ნაბიჯია ის, რომ შეიქმნას ბაზა. **„ძალიან კომპლექსური თემაა. სურვილი და მიზანი გაცხადებულია, გვინდა მაქსიმალურად დავარეგულიროთ ეს სფერო, რომ ოჯახები დაქცევას გადავარჩინოთ, ჩვენს ქვეყანას არა აქვს ფუფუნება, რომ 800 მილიონი იხარჯებოდეს აზარტულ თამაშებში,“** — დასძინა დეპუტატმა. ფინანსთა სამინისტროს ავტორობით მომზადებული პროექტით ცვლილებები შედის „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ კანონში. განმარტებითი ბარათის მიხედვით, საქართველოს მოქალაქისთვის აზარტულ თამაშში მონაწილეობის ასაკობრივი ცენზი 21 წლამდე იზრდება.

◎ ლარი — გაძლეგამდე!

დევალვაცია მომხმარებელსაც და ბიზნესსაც აჩანაგებს

მსხვილი იმპორტიორები ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში ლარის მკვეთრმა გაუფასურებამ საკმაოდ რთული ვითარება შექმნა. პროდუქტი მალე გაძვირებას დაიწყებს, ხოლო საწვავის ფასი სულ უფრო მაღლა მიიწევს. პარალელურად მცირდება მოხმარება, რაც ბიზნესისთვის დიდი პრობლემაა. საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის ხელმძღვანელის **ივა ჭყონიას** განცხადებით, ამ დროისთვის იმპორტიორების მხრიდან ფასების „დაჭერა“ ხდება.

„ველოდებით, საბოლოო ჯამში, ლარი რა ნიშნულს მიაღწევს. სანამ საბოლოო რაღაც ზღვარზე არ გაჩერდება, შეუძლებელია იმაზე საუბარი, თუ რამდენით მოიმატებს ფასები. 2.70 კრიტიკული ნიშნულია და ეს ყველაზე მტკივნეულად დისტრიბუტორებზე აისახება. რა დრომდეც გავუძლებთ, გავუძლებთ“, — აცხადებს ჭყონია.

მისი თქმით, ერთი პრობლემაა ფასების გაზრდა და მეორე — მსყიდველობითუნარიანობა. თუ ლარი არ გამყარდა, 1-თვიან პერიოდში, ფასების ზრდა 2-5%-ის ფარგლებში აუცილებლად მოხდება. **„მაქსიმალურად ვცდილობთ, ფასების მატებისგან თავი შევიკავოთ იმიტომ, რომ კომპანიებს თავი გავატანინოთ. დამერწმუნეთ, დისტრიბუტორ კომპანიებს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში გვიწევს ყოფნა. ჩათვალეთ, მოგებაზე არ ვფიქრობთ. გვინდა თავი გავიტანოთ, კომპანიები გადავარჩინოთ. გვაქვს იმედი, რომ ეროვნული ბანკი სახელმწიფოსთან ერთად გონივრულ ნაბიჯებს გადადგამს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ შემცირდება კურსი, დაფიქსირდეს მაინც სტაბილურ დონეზე, რომ შემდეგ ჩვენც ფასების განსაზღვრა შევძლოთ“,** — განუცხადა „კომერსანტს“ ჭყონიამ.

ეკონომისტები ადასტურებენ, რომ ლარის გაუფასურებას აუცილებლად მოჰყვება პროდუქტებისა და ბენზინის გაძვირება. პირველ რიგში, ფასების ზრდა შეეხება იმ სამომხმარებლო საქონელს, რომელიც იმპორტირებულია. **„საწვავის ფასი უკვე გაიზარდა, შემდეგ სატრანსპორტო სექტორის მომსახურება გაძვირდება და იმპორტირებული პროდუქტიც უფრო ძვირი იქნება. მალევე ეს ავტომატურად გადაეცემა სხვა პროდუქტებსაც. ბიზნესმა რომ იცოდეს, რომ ლარი მომავალში მნიშვნელოვნად არ იმერყეველებს, იქნება მშვიდად. მაგრამ, თუ მნიშვნელოვან გაუფასურებას ელის მოკლე პერიოდში, ამას ჰქვია სავალუტო რისკი და ამ რისკს პროდუქტის ფასში დებს, ანუ თავს იზღვევს, რომ დევალვაციისგან თვითონ არ დაზარალდეს“,** — ამბობს გიორგი პაპავა.

ლარის გაუფასურებაზე მყისიერად საწვავი რეაგირებს. ბენზინი და დიზელი ახლო პერიოდში 10 თეთრით უკვე გაძვირდა, პარარელურად შემცირდა მისი მოხმარება. ოქტომბერში საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავის იმპორტმა შეადგინა 97,1 ათასი ტონა, რაც 12,4 ათასი ტონით ნაკლებია სექტემბრის მაჩვენებელზე და 18,5 ათასი ტონით ნაკლებია 2016 წლის ოქტომბრის მაჩვენებელთან შედარებით.

„ამ ყველაფრის მიზეზი, პირველ რიგში, საერთაშორისო ბირჟებზე ნავთობის სწრაფი გაძვირებაა. 1 ბარელი ნავთობის ღირებულებამ უკვე მიაღწია 64 დოლარს, რაც ბოლო 28-თვიანი მაქსიმუმია. მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენდენციამ, საქართველოზე მეტად უარყოფითად იმოქმედა. კერძოდ, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში გაძვირდა „რეგულარის“ ტიპის ბენზინისა და დიზელის საწვავი: ევროდიზელის საწვავის ფასი, საშუალოდ, 6-11 თეთრით გაიზარდა, ხოლო „რეგულარის“ ტიპის ბენზინისა - 5-10 თეთრით ერთ ლიტრზე. ამ პროცესში ძალიან დიდი როლი შეასრულა ლარის გაუფასურებამ. საერთაშორისო ფასის ზრდისა და ლარის გაუფასურების პირობებში საწვავი საცალო ქსელში მნიშვნელოვნად გაძვირდა. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საწვავის იმპორტი და მოხმარებაც მცირედით შემცირებულია, თუმცა წინა წლებთან შედარებით მაინც მაღალია. სრულყოფილი სურათი დეკემბრის ბოლოს გვექნება“, — განმარტა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა.

ბექა დანელია

საქართველო, ქართველი და ქართული...

ქართული ენის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს!

ბატონო გიორგი!

უპირველეს ყოვლისა, გილოცავთ ამ უმნიშვნელოვანეს თანამდებობაზე დანიშვნას. როგორც თქვენი კეთილისმსურველი და ქართული ენის პრობლემებზე დღედაღამ მოფიქრალი ერთი რიგითი ქართველი, თავს უფლებას ვაძლევ გირჩიოთ:

— მიიღოთ აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტის ბოლო სტადიაში მყოფი პრობლემის რეალიზაციაში, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის, საერთაშორისო დონეზე, კონსტიტუციით დაკანონებული სახელწოდების — **„საქართველო"-ს** დამკვიდრება ჰქვია. სხვაგვარად თუ ვიტყვით, აღმართეთ მახვილი მათ წინააღმდეგ, ვინც ხავსს ეჭიდება და ამტკიცებს:

— ამ პრობლემის გადაწყვეტის დრო ახლა არ არის;

— უცხოელს გაუჭირდება სიტყვა „საქართველოს" წარმოთქმა;

— ღონისძიების განხორციელება ძვირი დაჯდება და სხვა მრავალი...

— შეადგინეთ თქვენი სამოქმედო პროგრამა და სამუშაო გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ქართული ენის გადარჩენისკენ და გამოაქვეყნეთ იგი პრესაში საჯარო განხილვისთვის. მხოლოდ ამის შემდეგ აქციეთ ის სამოქმედო პროგრამად.

— გადადეთ თავი და უზრუნველყავით ყველანაირი რეკლამის საერთაშორისო დონეზე აღიარებული ნორმების ჩარჩოებში ფუნქციონირება და რადიოსატელევიზიო პროგრამების დახვეწილი ქართულით მაუწყებლობა;

— სახელმწიფო მართვის ყველა შესაბამის სტრუქტურას, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, ცნობილ მეცნიერებს სთხოვეთ, რომ სრულიად საქართველომ დაიწყოს ინტენსიური ფიქრი და მოქმედება თანამედროვე უცხოური ტერმინოლოგიის მაქსიმალურად გაქართულების თვალსაზრისით;

— სათანადო პროგრამების შემუშავების კვალობაზე დასახეთ კონკრეტული ღონისძიებები, რათა ყველა ეტაპზე ქართული ენის შესწავლის გაუმჯობესება მოხერხდეს.

— წინასწარ შეეგუეთ იმ ვითარებას, რომ ჩამოთვლილ პრობლემათა გადაწყვეტისას უეჭველად წააწყდებით უდიდეს სირთულეებს; ხშირად შეიძლება თავბედიც კი დაიწყევლოთ, მაგრამ ამ დიდი ეროვნული საქმისათვის ყველაფერზე ღირს წასვლა!

მიგულეთ თქვენს გვერდით!

უღრმესი პატივისცემით

ანზორ ბაბუხადია,
გაზეთ „თანადგომის" რედაქტორ-გამომცემელი

P. S. — მომიტევეთ წერილის მკაცრი ტონი, რაც განაპირობა სავალალო რეალობამ, რომ კატასტროფული დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, უახლოესი 3-4 ათეული წლის შემდეგ, საქართველოში, ქართველები ნაციონალურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით!

ბატონო გიორგი, მუხრან მაჭავარიანის შეგონებისა არ იყოს, „საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა"... თქვენ ნამდვილად იცით, რომ ერი დემოგრაფიულად უფსკრულისკენ მიექანება. ამიტომაც ქართული ენის დაცვა და აღორძინება, ჩემი ღრმა რწმენით, ერის გამოფხიზლებისა და გამრავლების გზაზე წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

ა. ბ.

ვცდილობთ, ჩვენი კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდეს!

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მიმდინარე მეათე საერთაშორისო კვლევითი კონფერენცია, რომელიც საქართველოსა და ამერიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობის 25 წლისთავს ეძღვნება, საქართველოში ამერიკის ელჩმა იან კელიმ გახსნა.

ელჩის განცხადებით, აღნიშნული კონფერენცია ყველაზე მნიშვნელოვანი თუ არა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ამერიკათმცოდნეობაში.

„წელს უკვე მესამე წელია, რაც ამ კონფერენციაში ვმონაწილეობთ, რომელიც ამერიკათმცოდნეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კონფერენციაა, თუ არა ყველაზე მნიშვნელოვანი. ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ამ კონფერენციას და მომხსენებლებს მხარს უჭერს. შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტები საელჩოს სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობენ და ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მოვლენაა. კონფერენციაზე სხვადასხვა საკითხების მიმართ მრავალმხრივი მულტიდისციპლინარული მიდგომა იქნება და ეს მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ყველანი ვცდილობთ, რომ ჩვენი კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდეს", — განაცხადა იან კელიმ.

⊙ ეს წვრილმანი არ არის!

სამარცხვინო, მიუტევებელი შეცდომები უნდა გამოსწორდეს!

არ ვიცი, რამდენად დელიკატურია ამ თემის გაშუქება, მაგრამ მე მაწუხებს ეს საკითხი და მაინტერესებს თქვენი აზრი: საქმე ეხება ქუჩებისთვის ყოვლად უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ სახელის გადარქმევას. ჩვენში არავინ იკითხავს, ლენინის ქუჩა რატომ არა გვაქვსო და ეს სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ

პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ ავითვალწუნეთ ლესელიძის ქუჩა. იმ ქუჩაზე, პატარა სკვერში დიდი იაკობ ნიკოლაძის ხელით შესრულებული გენერალ კონსტანტინე ლესელიძის ძეგლი დგას, ქუჩას კი ამჟამად კოტე აფხაზის ქუჩა ჰქვია! ლესელიძის ქუჩისთვის სახელის გადარქმევა გადაწყდა სააკაშვილის ხელისუფლების დროს და შესრულდა ამ ხელისუფლების პირობებში. რატომ? ლესელიძეზე გამოჩენილი მხედართმთავარი ჩვენ უახლოეს ისტორიაში არ გვყოლია! სწორედ კონსტანტინე ლესელიძეს უპირებდა თურმე სტალინი მარშლის ჩინამდე აღზევებას, მაგრამ არ დასცალდა გენერალს. სხვათა შორის, ლეონიდ ბრეჟნევი მისი ხელქვეითი იყო, ეს ხომ ყველამ ვიცით.

კოტე აფხაზის პატივისცემა თუ გვინდა, სხვა ქუჩა უნდა გამოიძებნოს საამისოდ. რა საქციელია, ერთი პიროვნების აღზევება და მის ხარჯზე მეორის დაკნინება?! როგორც ჩანს, ვიღაცას უფიქრია კოტე აფხაზის ქუჩა თუ გვექნება ქალაქის ცენტრში, აფხაზებს გაუხარდებათ და აფხაზეთსაც დავიბრუნებთო. ეს იცით, რას ჰგავს? — „ვიმღეროთ და სოფელი აშენდებაო"!.

ბარემ მეორე მაგალითზეც მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას: გვქონდა თბილისში ჯიქიას ქუჩა. ვლადიმერ ჯიქია იყო ცნობილი ინჟინერი, ზაჰესის მშენებელი, ცისფერყანწელების მეგობარი, რომელიც 37-ის რეპრესიებს შეეწირა. ვიღაცას ეპატარავა ეს პიროვნება და პოლიტკოვსკაიას ქუჩა ეწოდა ჯიქიას ქუჩას. უზნეობა და უგუნურობაა ასეთი საქციელი. იცით, რატომ ჩაიდინეს ეს? პოლიტკოვსკაია რუსეთის ხელისუფლებას ებრძოდა, ცნობილი სამართალდამცველი იყო, რომელიც გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. ჰოდა, მიეცა საბაბი სააკაშვილის ხელისუფლებას და რუსეთისადმი ნიშნის მოგების მიზნით, თბილისში პოლიტკოვსკაიას ქუჩა გააშანშალა. შენი გურამ შარაძე არ გაგხსენებია, ისიც ქუჩაში მოკლული და სხვისი სამართალდამცველი გახსოვს?

სამართალმა პური უნდა ჭამოს. წინა ხელისუფლების დროს დაშვებული, მიუტევებელი შეცდომები უნდა გამოსწორდეს.

„სამართლიანობის აღდგენა" ამ საკითხსაც უნდა შეეხოს.

მზია გელენავა

⊙ უშიშროება და დაზვერვა

ძლიერი სპეცსამსახურები ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია!

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი, როგორც დამოუკიდებელი სამსახური 1997 წელს ჩამოყალიბდა. ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირის დროს ე.წ. კგბ-ს პირველი მთავარი სამმართველო იყო საგარეო დაზვერვის მიმართულება, ხოლო მეორე მთავარი სამმართველო — შიდა უსაფრთხოება-კონტრდაზვერვა. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა ისტორიის მწარე გამოცდილების მქონე ქვეყანა ვართ.

აღსანიშნავია, რომ სრულიად განსხვავებულია სახელმწიფო უშიშროების სამსახურის და საგარეო დაზვერვის სამსახურის ამოცანების ფორმატი და საქმიანობის სპეციფიკაც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამსახურები სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფას ისახავენ მიზნად, უშიშროების ამოცანა გახლავთ სისტემის წინაშე არსებული საფრთხის იდენტიფიცირება (დადგენა) და ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ან შესამცირებლად გარკვეული ხერხებისა და მეთოდების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი იქნას სისტემის გამართული ფუნქციონირება ქვეყნის შიგნით, ხოლო დაზვერვა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კომპონენტს წარმოადგენს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში ღებულობს მონაწილეობას და ძირითადად მოქმედებს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ.

დაზვერვა ინფორმაციის მოპოვების ხელოვნებაა და მისი უმთავრესი ამოცანაა უცხოეთიდან მომავალი საფრთხეების განსაზღვრა, საგარეო დაზვერვის საქმიანობის სპეციფიკა არის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართული საგარეო საფრთხეების შესახებ ინფორმაციის დროულად

მოპოვება, დამუშავება, ანალიზი, რეალიზაცია და სახელმწიფოს ისტებლიშმენტისათვის რჩევების მიწოდება.

2004—2005 წლებში საგარეო დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, კვლავ დაექვემდებარა სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, მაგრამ აღნიშნული ფაქტი დასავლეთელი პარტნიორი სახელმწიფოების მიერ უარყოფითად იქნა აღქმული, რადგან მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებში დაზვერვისა და უშიშროების სამსახურები თანამშრომლობენ, მაგრამ ამავდროულად დამოუკიდებლად მოქმედებენ. მაგალითად, ამერიკაში არსებობს გამოძიების ფედერალური ბიურო კონტრსადაზვერვო ფუნქციებით აღჭურვილი სამსახური და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო, ბრიტანეთში არსებობს დაზვერვის საიდუმლო სამსახური MI6 და უშიშროების სამსახური MI5, ისრაელში არსებობს მოსადი და შინბეთი, რუსეთში ფედერალური უსაფრთხოების სამსახური და საგარეო დაზვერვის სამსახური, აგრეთვე შეგვიძლია, მოვიყვანოთ სხვა უამრავი დემოკრატიული, თუ ავტორიტარული ქვეყნის მაგალითი, სადაც დაზვერვისა და უშიშროების სამსახურები დამოუკიდებლად მოქმედებენ.

საქართველოს უკვე აქვს ახლო წარსულში ისტორიული გამოცდილება იმისა, თუ რა რეაქცია გამოიწვია ამ ორი სტრუქტურის გაერთიანებამ ჩვენს პარტნიორებში და ვფიქრობთ იგივე რეფორმის გატარება და აღნიშნული ორი სტრუქტურის გაერთიანება ნაჩქარევი ნაბიჯია, რადგან მსგავსი რეფორმების გატარებამდე უნდა მოხდეს მისი გაანალიზება საექსპერტო დონეზე, შეხვედრები უნდა გაიმართოს ექსპერტებთან და მკვლევარებთან და უნდა მოხდეს მათი კვლევითი და ექსპერტული გამოცდილების გაზიარება.

იხ. 5 გვ.

„გენგეგმით“ გადაწყდება, კალაძე ივანიშვილის შემცვლელი იქნება თუ ნარმანიასი!

4. გახდება კახი კალაძე თბილისის წინააღმდეგ „შეთქმულების“ მონაწილე?

ამ ბოლო 25 წლის განმავლობაში თბილისის გენგეგმის არშედგენის ძირითადი მიზეზი არის თბილისის ძირითადი ქონების მოუწესრიგებლობა იმიტომ, რომ ეს უზარმაზარი ქონებაა და მისი ასეთი მოუწესრიგებლობა ძალიან საინტერესოა საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ქცევისთვის.

უწესრიგობის მომხრეების არქიტექტურის სამსახურზე დაყვანა საკითხის გამარტივებაა.

„სითი ინსტიტუტ თბილისის“ წარმომადგენლების მთავარი შეცდომა ისაა, რომ ნახევარსიმართლით ცდილობენ საქმის გაკეთებას. მათ ხომ ყველაზე კარგად იცოდნენ თავიდანვე, რომ მარტო მგგ არაა საკმარისი ქალაქთმშენებლობის მოწესრიგებისთვის. მათ ხომ იცოდნენ, რომ ამისთვის საჭიროა კიდევ გარემოს რეგულირების გეგმა? ჯამში ხომ იციან, რომ მარტო მგგ-ით უწესრიგობის აღმოფხვრის სამართლებრივი ბაზა არ შეიქმნება.

ზოგადად ამ შეთქმულების მთავარი ფაბულა ისაა, რომ თბილისის ქალაქთმშენებლობა იყოს მოუწესრიგებელი, როგორც სამართლებრივად, ისე ინსტიტუციურად, ანუ დარჩეს ისე როგორც დღეს. წლების განმავლობაში იქმნება იმიტაცია, რომ თითქოს ქალაქთმშენებლობის მიმართულებით რაღაც კეთდება, რომ არსებობს სამართლებრივი ბაზა, თუმცა რეალურად ადგილი აქვს ცალმხრივი ნორმატიული აქტების მიღებას და ერთიანი სისტემური და კომპლექსური კანონი მიღებული არ არის.

5. როცა თევზის თავს ვერ ვაგნებთ“!

ცოტა ხნის წინ გახმაურდა ამბავი მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის იუნესკოს ექსპერტების მიერ დაწუნების თაობაზე. უკვე პრობლემა მარტო თბილისს არ ეხება.

ეს ასეცაა.

საქმე იმაშია, რომ **„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, თბილისს უნდა ჰქონდეს თბილისის „ქალაქმშენებლობითი გეგმა“, რომელიც შედგება არა მარტო „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისგან“, არამედ აგრეთვე „განაშენიანების რეგულირების გეგმისგან“.**

ამდენად, თუ მარტო თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას მიიღებ და თუ იმავე დროს არ გაქვს თბილისის განაშენიანების რეგულირების გეგმა მიღებული, იდეალურიც რომ იყოს ის, თბილისის ურბანული კრიზისის დასაძლევად საკმარისი ვერ იქნება.

თბილისს უნდა ჰქონდეს ერთი „ქალაქთმშენებლობითი გეგმა“. და მისი ერთი ნაწილის მგგ-ს მიღება შეიძლება დაუკავშირო დადებით, ან უარყოფით შედეგებს, მაგრამ პრინციპულად საკითხს არ წყვეტს.

ამიტომ თავიდანვე მერიამ დაუშვა შეცდომა, როდესაც სახელმწიფო შესყიდვა გამოაცხადა მხოლოდ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებაზე და არა „ქალაქთმშენებლობით გეგმაზე“, როგორც ამას მოითხოვს კანონმდებლობა.

ამდენად შეცდომაა კახი კალაძის საპროგრამო დაპირება მხოლოდ მგგ-ს მიღების თაობაზე. საჭიროა ამ პოზიციის კორექტირება „ქალაქთმშენებლობით გეგმის“ მიღების მიმართულებით.

ამასთან, ნონსენსია დედაქალაქისთვის, მცხეთისთვის თუ სხვა მუნიციპალიტეტებისთვის კარგი, არათუ ამოგლეჯით მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შექმნა, არამედ ერთიანი „ქალაქთმშენებლობითი გეგმის“ შექმნის სურვილიც, თუ არ იარსებებს ქვეყნის განსახლების მოწყობილი სისტემა, ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცობრივი მოწყობის გეგმა, ორიენტირებული ადგილობრივი ქცევისთვის.

საქართველოს კანონით „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოში შემოღებულ იქნა სივრცითი მოწყობის სისტემა, რომელიც ერთ კომპონენტად მოიცავს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვას.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა არის მდგრადი განვითარების მეშვეობით ცხოვრების ხარისხის ამაღლების საშუალება. ის იძლევა შესაძლებლობას, რომ შეთანხმებულ იქნას საბაზრო და დაგეგმვის მექანიზმები სასურველი ეკონომიკური, ტერიტორიული, სოციალური და ბუნების დაცვითი მიზნების მიღწევის პირობებში.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა სახელმწიფოებრივი ფუნქციაა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვა ქვეყნის მასშტაბითა და ტერიტორიულ ერთეულებში, როგორც წესი 15-20 წლის ვადით. ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოამზადოს სამართლებრივი ბაზა და დახმარება გაუწიოს მის განხორციელებას ადგილებზე. საქართველოსთვის, ისევე როგორც გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის საერთოდ, უნდა განხორციელდეს დარგობრივი მართვის სისტემის რეგიონული მართვის სისტემით ჩანაცვლება.

ქვეყნის მასშტაბით შემუშავებული ტერიტორიულ-სივრცობრივი განვითარების გეგმებიდან გამომდინარეობს ქვედა დონის (ქალაქების, მუნიციპალიტეტების) გეგმები. აქცენტი, როგორც წესი, კეთდება მიწათსარგებლობის რეგულირებაზე და სისტემურ მიდგომაზე, დაბალანსებულ, კოორდინირებულ და ინტეგრირებულ სექტორალურ განვითარებაზე. ეს არ არის მხოლოდ მიწათსარგებლობის უბრალო მართვა. მოცემულ ტერიტორიაზე უნდა შეიქმნას ისეთი მიწათსარგებლობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალ ეკოლოგიურ-სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას.

ტერიტორიულ-სივრცობრივი დაგეგმვის წარმატება დამოკიდებულია შემუშავებული გეგმის ხარისხზე, მმართველობის ხარისხზე, ხელისუფლების პოლიტიკასა და პოლიტიკურ ნებაზე, კადრებზე.

აქ ისეთი შემთხვევაა, რომ თევზის თავს ვერ ვაგნებთ.

ფაქტი ერთია, რომ **საქართველოს მთავრობამ არც ღარიბაშვილის დროს და არც კვირიკაშვილის დროს არ შეასრულა კანონის მოთხოვნა საქართველოს სივრცითი მოწყობის თაობაზე. მათ არაფერი არ გააკეთეს ამ მიმართულებით, გარდა იმისა რომ შექმნეს სამთავრობო კომისია და ამ კომისიაში ღარიბაშვილის „უწესო წასვლის“ შემდეგ ის ჩაანაცვლეს კვირიკაშვილით.**

უკვე მეორე წელია, საქართველოს პარლამენტში დევს 2016 წლის 24 ნოემბერს წარდგენილი კანონპროექტი – „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“, რომლის მიღება გამოგონილი მიზეზებით იჭიმება.

საკმარისია ამ კანონპროექტის გაცნობა, რომლის მსგავსი კანონი ყველა ცივილიზებულ ქვეყანას გააჩნია, რომ გამოჩნდეს ის სავალალო მდგომარეობა, რაც საქართველოშია მასში ასახული ნორმების დაუკანონებლობის გამო. ბუნებრივია, ქალაქი, რაც არ უნდა დიდი იყოს ის და რაც არ უნდა დიდი წილი და მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, როგორც მაგალითად თბილისს საქართველოსთვის, ის მაინც იქნება მთელის – ქვეყნის ნაწილი და მისი სივრცობრივ-ტერიტორიული მოწყობა დამოკიდებული იქნება მთელი ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცობრივ მოწყობაზე. ყველა სხვა ცდა და ქვეყნის სივრცობრივ-ტერიტორიული მოწყობის გარეშე ქალაქების, მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ-სივრცობითი მოწყობა მეცნირული თვალსაზრისით სრულფასოვნად შეუძლებელია.

საქართველოში ტერიტორიულ-სივრცობრივ მოწყობას თითქოს გაუმართლა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლით, განსაკუთრებით პრემიერად გიორგი კვირიკაშვილის შემდეგ, როდესაც მან „ქართული ოცნების“ საქართველოს მრავალ ათეულპუნტიანი განვითარების პროგრამა ოთხ პუნქტზე დაიყვანა და ამ ოთხი პუნქტს შორის დატოვა ქვეყნის სივრცითი მოწყობის ამოცანა.

ცენტრალური ხელისუფლება ამ მოთხოვნას არ ასრულებს!

ეს საკითხი ძალიან ჰგავს მიწის საკითხს. აქაც მიღებულია ფრაგმენტული კანონები. ქვეყანას დღემდე არა აქვს „მიწის კოდექსი“.

ქალაქთმშენებლობისა და მიწის ფუნდამენტური კანონების არარსებობა წარმოადგენს მისი სივრცობრივ-ტერიტორიული მოუწყობლობის მიზეზს.

ეს არ არის მარტო დღევანდელი ხელისუფლების დამახასიათებელი ნიშანი. უბრალოდ გასაოცარია როგორ ჰგავს დროსა და სივრცეში დაშორებულ ხელისუფალთა ქცევა ერთმანეთს, როგორ ერთტიპურია ისინი.

2004-2007 წლებში მიღებულ იქნა ცალკე პარლამენტის დადგენილებები საქართველოს კანონის „საქართველოს სამშენებლო კოდექსის“ 2008 წლისთვის მომზადების უზრუნველყოფის მიზნით. მხოლოდ 2014 წლის ნოემბერში შევიდა პარლამენტში „სამშენებლო კოდექსის“ კანონპროექტი. შემდეგ გაგრძელდა ამ კანონის ირგვლივ „ჭირთა ბადის“ ქსოვა და უკვე 2016 წლიდან მის ბედს იზიარებს, როგორც ითქვა ახალი კანონპროექტი სახელწოდებით – „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი“.

კანონპროექტი მაინც მოქმედებს მოვლენებზე. ის მთავრობის მიერაა შეტანილი პარლამენტში და იქ მოცემული დებულებები გარკვეულ მოლოდინს ქმნის.

კანონპროექტი არ იცნობს „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ ცნებას, აქ ის შეცვლილია ცნებით – **„მიწათსარგებლობის გეგმა“. ეს საკითხი იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ უკვე ის და იმ სათაურით რის მიღებაზეცაა კამათი (ანუ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“ და რის მიღებასაც საარჩევნო პროგრამით კახი კალაძე დაგვპირდა, არ შეესაბამება მთავრობის მიერ მოწონებულ (რომლის ვიცე პრემიერიც თვითონ იყო მაშინ) ვერსიას!**

თუმცა ცხოვრება ვერ გაჩერდება და ადგილი აქვს ურბანული და სასოფლო სივრცეების სტიქიურ კერძო წარმოდგენებითა და ინტერესებით, საბაზრო მექანიზმებზე სრული დამოკიდებულებით, სტიქიურ განვითარებას.

ამან მიიყვანა თბილისი ურბანულ კრიზისამდე. ეს პროცესი ნელ-ნელა გადადის სხვა ქალაქებშიც. პოსტაბჭოთა კრიზისი გადადის თბილისის ახალ კრიზისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქალაქის დეინდუსტრიალიზაცია, სამუშაო ადგილების შემცირება, ქალაქიდან მოსახლეობის ემიგრაცია და სოფლის მოსახლეობის ქალაქში მიგრაცია. ამას დაემატა ახალი კრიზისი – მკვეთრი არათანასწორობა, სოციაურ დახმარებებზე დამოკიდებულების ზრდა, ქალაქის მოსახლეობის „შეცვლა“, მიგრაცია აფრიკის და აზიის ქვეყნებიდან, უპატრონო ბავშვები, ქალაქის ინფრასტრუქტურის დაძველება და სხვა. ამას ემატება სტიქიური განაშენიანება, ძველი ტრანსპორტით გადაჭედვა და ჰაერის გაჭუჭყიანება, საცობები...

თბილისის, როგორც ქალაქის კრიზისი 25 წელია, გრძელდება და ღრმავდება.

6. გამოსავალი: არასტანდარტულ სიტუაციაში – არასტანდარტული მოქმედება!

კახი კალაძე ცაიტნოტშია.

ის იგივე მდგომარეობაშია, როგორშიც იყო დავით ნარმანია 2014-ში.

მისი უპირატესობა ნარმანიას გამოცდილებაა.

როგორ მოიქცა ნარმანია? – ის სიტუაციას მოერგო, შეეგუა.

ის მთლიანად გახდა **„ნაციონალების“** ქალაქმშენებლობითი საქმეების გამგრძელებელი. მან მემკვიდრეობით მიღებული 2009 წლის „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა“ ხელმეორედ დაამტკიცა სახელწოდებით „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა,“ კანონმდებლობის მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დასამყარებლად. საქმით კი გაგრძელდა ის, რაც კეთდებოდა სააკაშვილისა და ყველა წინა ხელისუფლების დროს, გარდა განაშენიანების ინტენსივობის K2-კოეფიციენტის გაზრდის შეჩერებისა, ზოგიერთ რაიონში.

ნარმანიამ აღიარა, რომ მან ვერაფერი ვერ მოახერხა იმ ვალდებულებებთან და გაცემულ ნებართვებთან, რაც მანამდე დახვდა. **„წინა ხელისუფლების დროს გაცემული სამშენებლო ნებართვების შეჩერება შეუძლებელი იყო. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს დეველოპერებისთვის ბიუჯეტიდან ზიანი უნდა აენაზღაურებინა.“**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროს თბილისის კრიზისის დაძლევის გზად მგგ იყო მიჩნეული. ამან არ გაამართლა უკვე მითითებული მიზეზების გამო.

რას იზამს კალაძე!

გაიმეორებს იგივეს და მოახდენს მისი იმიჯის განულებასა?!

ანუ გახდება იმის ტყვე, რაც დაუტოვა ნარმანიამ?! ფაქტობრივად ქალაქი გაკოტრებულია – რომ არა ცენტრალური ბიუჯეტის სუბსიდიები, საკუთარი შემოსავლებით ქალაქს მისი ვალდებულებების, მისი ექსკლუზიური ფუნქციების განხორციელება არ შეუძლია.

რას უდრის სამშენებლო ნებართვების ჯამი? რას უდრის ცენტრალური ხელისუფლების მიერ საინვესტიციო პირობებით გაცემული ტერიტორიები? რა ინტერესები დევს „სითი ინსტიტუტ თბილისის“ მომზადებულ რუკებში? როგორი იქნება სოლოკრატიული სისტემის შიგნიდან თხოვნები?

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული პროექტის ნახვის შემდეგ (პირველი კახი კალაძემ ის უნდა ჰქნას, რო ეს პროექტი გაასაჯაროოს), შეგვეძლება თქმა: ის მისაღებია, თუ არა. თუმცა, მარტო მისი მიღება, როგორც ითქვა, საკითხს არ წყვეტს. იყო 2009 წლიდან მგგ, მაგრამ არც ერთი კრიზისი თბილისში არ დაძლეულა. ახალი დაკვეთაც ხომ ამ 2009 წლის მგგ განახლებაა?

შეძლებს კალაძე სტიქიური განაშენიანების შეჩერებას?

შეძლებს კალაძე გაფუჭებულის სტატუს კვოს შენარჩუნებას, თუ კიდევ დაუშვებს მდგომარეობის გაუარესებას?

ნარმანია გახდა ყოველდღიურობის ტყვე. რუტინამ დაამარცხა.

კალაძე შეეგუება მდგომარეობას ნარმანიასავით, თუ გაუწევს წინააღმდეგობას?!

წარმატებისთვის კალაძემ სწრაფად უნდა გადაწყვიტოს „სითი ინსტიტუტი თბილისის“ საკითხი. ის უნდა გადაიყვანოს მეორეხარისხოვან საკითხებში და ჩააბაროს შესაბამის სტრუქტურას შესაბამისი ინსტრუქციით. თბილისის მგგ-ს ჩასწორებული ვარიანტი გასაჯაროვდეს, თუ გათვალისწინებულია შენიშვნები და თუ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით წაყენებულ მოთხოვნებს, უნდა იქნას მიღებული, თუ არა და -არა. მის მიმართ დამოკიდებულება უნდა იყოს შეღავათების გარეშე.

ამავე დროს, კალაძემ უნდა შეაჩეროს სტიქიური განაშენიანება!

არ უნდა დაუშვას გაფუჭების მასშტაბების ზრდა.

და მთავარია: **კახი კალაძემ გიორგი კვირიკაშვილთან** და **ირაკლი კობახიძესთან** ერთად მოილაპარაკონ და გადაწყვიტონ **„საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსისა“** და **„მიწის კოდექსის“** მიღებისა და პარალელურ რეჟიმში ქვეყნის სივრცობრივი მოწყობისა და თბილისის ქალაქთმშენებლობის გეგმის მიღების საკითხები.

თუ როგორი უნდა იყოს შემდეგი ნაბიჯები, ამის შესახებ მას შემდეგ, რაც გავეცნობით მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებულ ვერსიას.

ფაქტი ერთია: პოლიტიკურად კახი კალაძის მარცხი გარდაუვალია, თუ ის ნარმანიას შექმნილ საძირკველზე დადგება!

ყველაფერი დავწერე უფრო დიდი სურვილით, ვიდრე მოლოდინით, რომ კახი კალაძე, თბილისის ახალი მთავრობა, ახლადარჩეული საკრებულო გაითვალისწინებს ნათქვამს.

მიხეილ ჯიბუტი.
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დასასრული. დასაწყისი იხ. №234-236

დედაქალაქიდან სახიფათო ობიექტები უნდა გავიტანოთ!



გადაიხედება თუ არა თბილისის გენერალური გეგმით სახიფათო ობიექტების დედაქალაქის ცენტრში არსებობა? თბილისის განვითარების გენგეგმის ერთ-ერთი ავტორი, „სითი ინსტიტუტის“ დირექტორი მამუკა სალუქვაძე აცხადებს, რომ იზოტოპების და მსგავსი ობიექტების თბილისის ცენტრში არსებობის მიზანშეწონილობა განაშენიანების რეგულირების გეგმამ უნდა განსაზღვროს. მისი თქმით, გენგეგმაზე მუშაობისას ცალკეულ ობიექტებზე რომ გაემახვილებინათ ყურადღება, კიდევ დამატებითი წლები დასჭირდებოდათ სრულყოფილი გეგმის დასადებად.

რაც შეეხება იზოტოპების ინსტიტუტს, ჯერ კიდევ 2010 წელს თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე მყარი იზოტოპების ინსტიტუტში ერთ-ერთ ჩაკეტილ ოთახში კონტეინერში მოთავსებული უცნობი ნივთიერება აღმოაჩინეს და გარემოს დაცვის სამინისტროს აცნობეს. ამ უწყების რადიაქტიური და ბირთვული დეპარტამენტის თანამშრომლებმა იზოტოპების ინსტიტუტის შენობაში აღმოჩენილი პლუტონიუმის და ბერილიუმის კომპოზიცია დაცულ ადგილას გადაიტანეს. თუმცა ამ ინფორმაციამ იქვე ახლოს მცხოვრები მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია.

დღეს იზოტოპების ინსტიტუტის დირექტორი თემურ ჯიშიაშვილი აცხადებს, რომ შენობის სხვა ადგილას გადატანა ათეულობით მილიონი ლარი დაჯდება. თანაც, ასეთი ინფრასტრუქტურის გადატანა ასე მარტივი არაა. დირექტორი ირწმუნება, რომ ინსტიტუტი აწარმოებს სამედიცინო დანიშნულების დიაგნოსტიკის იზოტოპებს რადიაციის გარეშე და ისინი გადის ამერიკის, ევროპის, იაპონიის ბაზრებზე.

„ეს უნიკალური წარმოება კომუნისტების დროიდან დარჩა საქართველოს, რომელიც საბჭოთა კავშირში არსად იყო. თუ ამ წარმოებასაც დაანგრევენ, ჰქონდეთ მერე ლომონათი და ბორჯომი“, — ასეთია თემურ ჯიშიაშვილის პოზიცია.

ისმის საკითხი: დაბინძურებული ჰაერით ისედაც განთქმულ თბილისში უნდა არსებობდეს თუ არა საეჭვო ობიექტები?

არქიტექტორი **გიგა ბათიაშვილი** ამ მხრივ კრიტიკულია. For.ge-სთან საუბარში ის აცხადებს, რომ სულაც არ აინტერესებს ამ თვალსაზრისით როგორია უცხოური გამოცდილება. გარკვეული ხიფათი და საშიშროება ადამიანს აიძულებს, იფიქროს, რომ ასეთი ობიექტების განთავსება ქალაქის სხეულში არ არის სასურველი. უფრო ზუსტად, სასურველი კი არა, ასეთი ობიექტები გასატანია და ისინი უნდა დაპროექტდეს ქალაქგარეთ.

„თავის დროზე, როცა იზოტოპები დაპროექტდა, მაშინ მთელი ეს უბანი არ იყო განაშენიანებული და არც ითვალისწინებდა ამ ტერიტორიების ათვისებას საცხოვრებელი ფონდით. დღეს თუ ეს ობიექტი თემატურად ძველი შინაარსის დარჩება, ცხადია, უნდა გავიტანოთ იმ ტერიტორიიდან. ეს საკითხი მარტივად გადასაწყვეტია. თბილისს არ გააჩნია გენერალური გეგმა და, ამიტომ ის ვერ გადაწყვეტს ამ საკითხს. თბილისში ასეთი ობიექტები ბევრი ვერ იქნება. მით უმეტეს, რომ ფიზიკის ინსტიტუტი და ფიზიკა, როგორც მეცნიერება, მოსპეს საქართველოში“, — აცხადებს გიგა ბათიაშვილი.

არქიტექტორი **ვახტანგ დავითაია** ჩვენთან საუბარში განმარტავს, რომ, თუკი ჩვენს ქვეყანას რაიმე შესაძლებლობა აქვს, არავითარ შემთხვევაში, იზოტოპების მსგავსი ობიექტები არ უნდა გააჩეროს ქალაქში. მით უმეტეს, იმ ადგილას ურბანული სიტუაცია უკვე მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუკი 40 წლის წინათ მხოლოდ ორი სახლი იდგა, ახლა მთლიანად საცხოვრებელი კორპუსებითაა მოშენებული. ე.ი. გაცილებით მეტია რისკი და მეტ ადამიანს ელის ხიფათი.

„ეს არ არის პრობლემა, რომელსაც რაიმე განსაკუთრებული კვლევა სჭირდება. ეს საკითხი უფრო მეტად დაკავშირებულია ფინანსებთან. თუ ასეთ ობიექტებს გაიტანენ დედაქალაქიდან, კარგი იქნება, მაგრამ როდის და რანაირად მოახერხებს ქალაქი ამას, ძნელი სათქმელია. ეს ძვირად ღირებულია“, — აცხადებს ვახტანგ დავითაია.

ამასთან, ვერ აკონკრეტებს, რამდენი ასეთი ობიექტია დედაქალაქის ცენტრში. თუმცა მიიჩნევს, უცხოეთის გამოცდილება გვკარნახობს, რომ ჰაერის მდგომარეობით ისედაც დამძიმებულ დედაქალაქში ასეთი ობიექტები არ უნდა არსებობდეს.

მანანა ნოზაძე

◎ უშიშროება და დაზვერვა

ძლიერი სპეცსამსახურები ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია!

(მესამე გვერდიდან)

საინტერესო იყო ბატონი თორნიკე შარაშენიძის შეფასება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მისი აზრით, არ არის სასურველი სპეცსამსახურების გაერთიანება, რაშიც სრულიად ვეთანხმები, თუმცა მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ეს რეფორმა შესაძლებელია გატარდა დაზვერვის სამსახურის უფროსის ბატონი დავით სუჯაშვილის ფაქტორის გამო.

დავით სუჯაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის კადრი იყო და ამიტომ სურთ მისი ჩამოცილება, აღნიშნულ საკითხში ვერ დავეთანხმები ბატონ თორნიკეს, როგორც დაზვერვის მკვლევარმა ვიცი, რა წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურების და საქართველოს ყოფილი და ამჟამინდელი ხელმძღვანელების ბიოგრაფიები და განვლილი კარიერული გზა, მსურს აღვნიშნო, რომ საქართველოს დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელმა დავით სუჯაშვილმა 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია და 1999 წლიდან 2012 წლამდე მუშაობდა საქართველოს დაზვერვის სამსახურში, 2012—2013 წწ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორის პოსტი ეკავა, სადაც ერთი წელი დაჰყო, 2014—2015 წწ. ერთი წელი სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს მდივნის პოსტი ეკავა, ხოლო 2013 წლიდან დღემდე საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსია და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მთავარი მრჩეველი დაზვერვის საკითხებში, მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს დაზვერვის კადრის ოფიცერთან, რომლის სადაზვერვო კარიერა არ დაწყებულა 2012 წლიდან. ჩემი დაკვირვებით, სწორედ დავით სუჯაშვილის ხელმძღვანელობის დროს იქცა სიტყვები „ვემსახურები საქართველოს, ვცოცხლობ საქართველოსთვის“ სამსახურის დევიზად, რომელიც უდიდესი შინაარსის მატარებელია.

საქმიანობის საიდუმლო სპეციფიკიდან გამომდინარე სპეცსამსახურების წარმატებები არ არის ცნობილი და ხშირად ამ ტიპის საქმიანობას ვერ ხედავს რიგითი მოსახლეობა, თუმცა რომ არა ბრძოლის ეს პირველი ხაზი, სადაც სპეცსამსახურები ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან, ქვეყანა ვერ აირიდებდა თავიდან უამრავ საფრთხეებს, რომლებიც უხილავია საქმიანობის კონსპირაციული სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომაც ეწოდება ამ სფეროს უხილავი ფრონტი.

საინტერესოა ამერიკის გამოცდილება და საკადრო პოლიტიკის სპეციფიკა სპეცსამსახურების მიმართ, ჯეიმს კლაპერის მაგალითზე, რომელიც გეოსივრცითი დაზვერვის სააგენტოს დირექტორის პოსტზე დაინიშნა ჯორჯ ბუში უმცროსის დროს, თავისი სააგენტოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩართული იყო სპეცოპერაცია ნეპტუნის სამკაპში, რომელიც ბარაკ ობამას პერიოდში წარმატებულად დასრულდა, ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს ჯეიმს კლაპერი მისი დამსახურების გამო დააწინაურეს და ამერიკის ეროვნული დაზვერვის დირექტორად დანიშნეს, რომლის ოფისში შედის ეროვნული კონტრტერორისტული ცენტრი, ამავდროულად ეროვნული დაზვერვის დირექტორის ოფისი არის ამერიკის სადაზვერვო თანამეგობრობის მენეჯერი. ჩვენ უნდა გავიზიაროთ წარმატებული ქვეყნების გამოცდილება, თავისი საქმიანობის საიდუმლო სპეციფიკიდან გამომდინარე სპეცსამსახურების წარმატებები არ არის ცნობილი და ხშირად ამ ტიპის საქმიანობას ვერ ხედავს რიგითი მოსახლეობა, თუმცა რომ არა ბრძოლის ეს პირველი ხაზი, სადაც სპეცსამსახურები ყოველდღიურ რეჟიმში იბრძვიან, ქვეყანა ვერ აირიდებდა თავიდან უამრავ საფრთხეებს, რომლებიც უხილავია საქმიანობის კონსპირაციული სპეციფიკიდან გამომდინარე, ამიტომაც ეწოდება ამ სფეროს უხილავი ფრონტი. აუცილებელია, ავიტაცოთ ფორმულა, რომ „ძლიერი სპეცსამსახურები ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია“, რომელთაც უნდა მიეცეთ თავიანთი სფეროს არეალში ავტონომიურად მოქმედების საშუალება.

თორნიკე შურღულაია

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ამერიკანისტი, თომას ჯეფერსონის კვლევის ცენტრის პრეზიდენტი და სპეცსამსახურების მკვლევარი,

სპეციალურად „აქცენტისთვის“

დევიდ ლინჩი: საქართველოში სტუმრობისას სახლში ყოფნის შეგრძნება დამეუფლა

„საქართველოში სტუმრობისას სახლში ყოფნის შეგრძნება დამეუფლა, ფანტასტიკური არქიტექტურა გაქვთ, აქ ხელოვნება, კრეატიულობა იგრძნობა“, — განაცხადა ამერიკელმა რეჟისორმა დევიდ ლინჩმა. ის საქართველოს ოთხდღიანი ვიზიტის ფარგლებში 18 ნოემბერს ეწვია. გუშინ კი, ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

„საქართველოში ორი დღის წინ ჩამოვედი. თბილისის ქუჩები და საერთოდ, აქაურობა ძალიან ლამაზია. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თითქმის ყველგან ვგრძნობდი, რომ სახლიდან შორს ვიყავი. აქ კი, გაღვიძებისთანავე ძალიან კარგი შეგრძნება დამეუფლა, ყველა ძალიან ახლობელი იყო“, — განაცხადა ლინჩმა.

შეგახსენებთ, რომ დევიდ ლინჩი არის ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი, პროდიუსერი, დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, მრავალი კინოფესტივალის გამარჯვებული, ისეთი ნამუშევრების ავტორი, როგორიცაა „ტვინ პიქსი“, „მალჰოლანდ დრაივი“, „ლურჯი ხავერდი“ და ა.შ.

საქართველოში ვიზიტი დაკავშირებულია, დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს, თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. ფონდის პრეზიდენტია ცნობილი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძე.

◎ პოზნერის პირისპირ

ცოტა ხნის წინათ რუსეთში ჩასული ნინო ბურჯანაძე პირველი არხით ცნობილი ტელეჟურნალისტის ვლადიმერ პოზნერის პროგრამაში გამოვიდა, რომლის ჩანაწერს დღეს გთავაზობთ.

ნინო ბურჯანაძე: მე ვარ პროქართული პოლიტიკოსი, ვიცი, თუ რა სჭირდება

ვლადიმერ პოზნერი: პროგრამა „პოზნერის“ დღევანდელი სტუმარია საქართველოს პარლამენტის ექსსპიკერი, ადამიანი, რომელიც ორჯერ ასრულებდა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას, თუმცა თავად კი პრეზიდენტი არ ყოფილა, პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. გამარჯობათ, ქალბატონო ბურჯანაძე!

ნინო ბურჯანაძე: – საღამო მშვიდობისა!

ვ. პ: – ნება მომეცით, კმაყოფილება გამოვთქვა მოსკოვში თქვენი ჩამობრძანების გამო. რამდენადაც ვიცი, გაისად თქვენ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში აპირებთ მონაწილეობის მიღებას.

ნ. ბ. – დიახ, ვაპირებ.

ვ. პ: – ხომ არ გეჩვენებათ, რომ მოსკოვში ჩამოსვლა და ჩემს პროგრამაში სტუმრობა თქვენი გაპრეზიდენტების შანსებს არ ზრდის, ან იქნებ ქართველებს უცებ მხურვალედ შეუყვარდათ რუსეთი?

ნ. ბ. – არა მგონია, რომ ან მოსკოვში ჩამოსვლა, ანდა თქვენს პროგრამაში მოსვლა რაიმე რისკს შეიცავდეს. მართალია, ზოგიერთნი ასეთ მოქცევას მკაცრად გააკრიტიკებენ, მაგრამ ასევე არიან ისეთებიც, ვისაც კარგად აქვს გათვითცნობიერებული, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების დამყარება. თანაც ბევრია ისეთიც, ვინც დიდად აფასებს თქვენს პროგრამას, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ჩემს თაყვანისმცემელთა რიცხოვნობის მატება თუ კლება ბევრად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის ჩვენი ეთერი.

ვ. პ: – როცა პროგრამაში ვინმეს ვიწვევ, ვალდებული ვარ, ამის თაობაზე პირველი არხის ხელმძღვანელობას ვამცნო, ვინაიდან ისინი ყიდულობენ მას და სურთ იმის ცოდნა, თუ ვინ იქნება სტუმარი. ჰოდა, როცა მე თქვენი კანდიდატურა შევთავაზე, მეგონა, რომ ამ ამბავს მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდებოდნენ, მაგრამ ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა, რამაც დიდად გამახარა. ჩემი შიში კი იმით იყო განპირობებული, რომ თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილთან და ზურაბ ჟვანიასთან ერთად, სწორედ თქვენ ედექით სათავეში იმ მოვლენებს, რომლებსაც მოგვიანებით „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს. რამდენადაც მესმის, რუსეთის ხელმძღვანელობა მაინც თვლის, რომ ყოველივე მთლად პირდაპირ თუ არ არის თეთრი სახლის ნახელავი, ყოველ შემთხვევაში მისი სულის ჩამდგმელი მაინც ის არის. ამის მიუხედავად, თქვენს კანდიდატურას არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

ნ. ბ. – „ვარდების რევოლუციაზე“ რომ ვლაპარაკობთ, მას შემდეგ, როცა საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი, მოსკოვში ჩამოვედი და პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შევხვდი, ჩვენი წინადადება იყო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები სუფთა ფურცლით დაგვეწყო. სხვათა შორის, სააკაშვილიც, იმ დროს უკვე ქვეყნის პრეზიდენტი, პირველ ოფიციალურ ვიზიტად ასევე მოსკოვს ესტუმრა. მაშინ ნამდვილად იყო იმის საშუალება, რომ ჩვენი ურთიერთობები უკეთესობისკენ შემოტრიალებულიყო, მაგრამ ეს შესაძლებლობები, ეს შანსი ვერ იქნა ჯეროვნად გამოყენებული, მათ შორის, შესაძლოა, ჩვენი მხრიდანაც.

ხოლო რაც შეეხება დღესდღეობით არსებულ ვითარებას, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ამდენად მიმაჩნია, რომ ჩემი ამჟამინდელი პოზიცია საქართველოშიც ბევრისთვის უნდა იყოს მისაღები და რუსეთშიც. დიახ, რუსეთი ბევრად დიდია საქართველოზე, მაგრამ ვთვლი, რომ მის ინტერესებშიც უნდა იყოს საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების ქონა. ვფიქრობ, რომ ხალხი აქაც კარგად ხედავს, რომ მე ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების მომხრე ვარ.

ვ. პ: – ამ დღეებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, გნებავთ, ოქტომბრის გადატრიალების ასი წლისთავი აღინიშნებოდა, თავად აირჩიეთ, რომელი განმარტებაც გნებავთ. რუსეთის ტელევიზიებით ამ თემასთან ასე თუ ისე დაკავშირებულ სხვადასხვა ჟანრის ფილმებს აჩვენებენ. პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ მოვლენებისადმი?

მაყურებელს კი მინდა შევახსენო, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. 1918 წელს დამოუკიდებელი რესპუბლიკა გახდა, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, მაგრამ, 1921 წელს მოხდა მისი, ასე ვთქვათ, „გასაბჭოება“, თანაც არა ნებაყოფლობით. ამიტომაც გეკითხებით: როგორი დამოკიდებულება გაქვთ ამ რევოლუციისადმი?

ნ. ბ. – სიმართლე გითხრათ, სწორედ ამ, კიდევ სხვა მიზეზთა გამოც, რევოლუციების მიმართ ცუდი დამოკიდებულება მაქვს, თუმცა კი ეს, შესაძლოა, თქვენთვის სიურპრიზი იყოს. მაშინაც, როცა რევოლუციაში არა თუ ვმონაწილობდი, არამედ ვხელმძღვანელობდი კიდეც, იმ დროსაც კი მიმაჩნდა, რომ საქართველოს არა რევოლუცია, არამედ რევოლუციური რეფორმები, ევოლუცია სჭირდება. ამიტომაც, რევოლუციებს დიდი სიფრთხილით ვუდგები, არ მიყვარს, ვინაიდან გარკვეული პროგრესის მიუხედავად, დიდი რყევები მოჰყვებათ და აურაცხელი ტანჯვა-ვაება მოაქვთ ადამიანებისთვის, ხალხებისთვის, სახელმწიფოებისთვის.

რაც შეეხება 1918 წელს, რაღა თქმა უნდა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება უდიდესი ამბავი იყო, ისევე როგორც აუტანელი ტრაგედია იყო მისი ხელახლა დაკარგვა. ცხადია, მაშინ დამოუკიდებლობა რომ არ დაგვეკარგა, საქართველოს ბედი სხვაგვარად დატრიალდებოდა, ახლა კი აღარაფრის შეცვლა შეგვიძლია.

ვ. პ: – რას იტყვით, ზოგადად, გაქვთ თუ არა იმის შეგრძნება (სხვათა შემთხვევაში ლაპარაკი ძნელია), რომ დამოუკიდებლობის ეს ნოსტალგია ქართველთა უმრავლესობაში მთელი საბჭოური პერიოდის მანძილზე იყო შემორჩენილი?

ნ. ბ. – დიახ, ამაში არავითარი ეჭვი არ არსებობს. საქართველოსა და ქართველებისთვის, მე კი მხოლოდ მათი სახელით შეიძლია ლაპარაკი, დამოუკიდებლობა ბევრს ნიშნავს, იგი უშუალოდაა დაკავშირებული თავისუფლებასთან და ის, რომ მრავალი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ მოვიპოვეთ იგი – თუნდაც ცოტა ხნით! – უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

იცით, ახლა ჩემი ბავშვობისდროინდელი შეგრძნება გამახსენდა, როცა ერთხელ ჩემს ოთახში ჩამოკიდებულ რუკას შევხედე და გულდაწყვეტით, იქნებ იმედითაც, ვთქვი – ნეტავ თუ დადგება ის დღე, როცა საქართველო მასზე ცალკე ფერით იქნება აღნიშნული-მეთქი. მამაჩემის, იმდროინდელი პარტიული ფუნქციონერის, სიტყვები მახსენდება, რომლებმაც სწორედ ამის გამო გამაკვირვა: იმედი მაქვს, რომ ეს დღე დადგება, მაგრამ ვეჭვობ, რომ მე მოვესწრო, შენ კი, შვილო, საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას აუცილებლად მოესწრებიო. მადლობა ღმერთს, ამ დღეს მამაჩემიც მოესწრო და მთელი მისი თაობაც. დამოუკიდებლობა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამდენად, მიმაჩნია, რომ ყველას, ვისაც საქართველოსთან რაიმე ურთიერთობა აქვს, მათ შორის, რუსეთს, უნდა ესმოდეს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის თავისუფლების, დამოუკიდებლობის გრძნობა, იმის შეგნება, რომ მსოფლიო რუკაზე საქართველო ცალკე ფერითაა აღნიშნული.

ვ. პ: – ახლა კი, როგორც ვატყობ, დრო ორი კითხვაც დაგისვათ: რადგან საქართველოს თემას ვეხებით და რევოლუციაზე ვსაუბრობთ, პირადად თქვენ როგორი დამოკიდებულება გაქვთ სტალინის მიმართ, რომელსაც რევოლუციასთან ნამდვილად ჰქონდა შეხება? და როგორია მის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში? ისეთი შეგრძნება მაქვს, იქნებ სრულიად არასწორიც, რომ მას ბევრი უჭერს მხარს. ჩემთვის ეს, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რადგან მისი რეპრესიების შედეგად საქართველოში იმდენი ხალხი დაზარალდა, რამდენიც არცერთ სხვა რესპუბლიკაში არ დაზარალებულა. ამიტომაც მინდა გკითხოთ: როგორია პირადად თქვენი დამოკიდებულება სტალინის მიმართ და რას ფიქრობს იმის შესახებ ქართველი ხალხი?

ნ. ბ. – სტალინის მიმართ საქართველოში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა. არიან ადამიანები, რომლებიც მას უდიდეს პატივს მიაგებენ და ამაყობენ მისი ქართველობით, თუმცა კი რამდენად იყო მის ხასიათში მარტო ქართული თვისებები, ეს საკამათო საკითხია – რაც არ უნდა იყოს, რევოლუცია მაინც გლობალიზაციის ნაწილია. არიან ასევე ადამიანები, რომლებიც მისდამი დიდად კრიტიკულად არიან განწყობილი. მიმაჩნია, რომ მისდამი სხვადასხვანაირი დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს კაცს, მაგრამ უდავოა, რომ იგი გამოჩენილი პიროვნება, არაორდინარული ადამიანი იყო, რომელიც, შესაძლოა, კაცობრიობის ისტორიაში არც ყველაზე პირსისხლიანი მსოფლიო დონის ლიდერი იყო, მით უმეტეს ეს სავსებით სამართლიანია ბოლშევიკების მიმართ. თუმცა კი ისიცაა, რომ იმ დროს საშინელი დანაშაულებები იქნა ჩადენილი. აქ ჩნდება ერთი კითხვა: ჰქონდა კი მას არჩევანი რაიმე სხვაგვარად გაეკეთებინა? მიმაჩნია, რომ იგი, რაღა თქმა უნდა, უაღრესად საინტერესო პიროვნებაა, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა საქმე დიდ პიროვნებებს ეხება, მირჩევნია, რომ ისინი ბოროტებას არ სჩადიოდნენ.

ვ. პ: – მისი ყველა ქმედება სასწორის პინებზე რომ დავდოთ, თქვენი აზრით, რა უფრო გადაწონის – დადებითი საქმეები თუ უარყოფითი?

ნ. ბ. – თუკი ყველაფერს წმინდა წყლის ადამიანური თვალთახედვით შევხედავთ, იმ დროს იმდენა ხალხი დაიღუპა, იმდენის ბედი დაიმსხვრა, რომ ამაში პოზიტიური არაფერია. მაგრამ, თუკი ყველაფერს პოლიტიკური, ანდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ უზარმაზარმა ქვეყანამ ომი მოიგო, ფეხზე დადგა, მაშინ უკვე უნდა დავფიქრდეთ ყოველივეს შეფასებაზე, რაც იმ დროს იქნა გაკეთდა.

ვ. პ: – და თქვენ კიდევ ფიქრობთ?

ნ. ბ. – დიახ, მე ჯერ კიდევ ვფიქრობ.

ვ. პ: – ამაოდ ვცდილობდი ინფორმაციის მოპოვებას იმის შესახებ, თუ როგორია რუსეთში ხალხის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. თუ როგორია რუსეთის მიმართ ხალხის დამოკიდებულება საქართველოში, ამის თაობაზე მონაცემები მრავლადაა, თუმცა კი მათი სიზუსტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ისინი ნამდვილად არსებობს.ხოლო როგორია რუსების დამოკიდებულება ქართველების მიმართ, ამის შესახებ ცნობები არ არის. არადა, საინტერესოა რიგითი ადამიანის აზრის გაგება – რა უნდათ საქართველოში, რა მოხდა იქ, ვთქვათ, ბოლო 10-15 წლის

◎ პოზნერის პირისპირ

არა პროტესული, არამედ რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს...

მანძილზე? რუსეთელს რომ ჰკითხო, ის დაახლოებით ასე გიპასუხებთ: ამბობენ, რომ ავტოინსპექტორები იქ ქრთამს აღარ იღებენ, კიდევ, მგონი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ომი იყო. თუმცა, ომისა და დიდი პოლიტიკის შესახებ ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, ამის თაობაზე აუცილებლად მინდა გამოგკითხოთ, ახლა კი ქრთამებთან დაკავშირებით მინდა ვისაუბროთ. ინფორმაციამ ამის შესახებ რუსეთამდე უმალ მოაღწია, რადგან ავტოინსპექტორებს ჩვენში ფულს უწინაც უხდიდნენ და ახლაც ბევრი აძლევს ქრთამს. ჰოდა, ამ ცვლილებებს სააკაშვილის მიერ განხორციელებული დადებითი ძვრების რიცხვს მიაკუთვნებენ. თქვენ როგორ თვლით: ეს მართლაც პოზიტიური რამაა და მართლაც მისი ნამოღვაწარია? და იქნებ კიდევ არის პოზიტიური რაღაცები, რომელთა ფესვები სააკაშვილის პრეზიდენტობაში ძევს?

ნ. ბ. — პოზიტიური რაღაცები უდავოდ ხდებოდა, მაგრამ იმ დროს მეც ხომ ვიყავი ხელისუფლებაში და დადებითი ამბები რომ არ ყოფილიყო, იქ არაფრით გავჩერდებოდი. მათ შორის აღსანიშნავია პოლიციის რეფორმაც, რომელიც თავდაპირველად ძალიან მნიშნელოვანი იყო. ეს მართლაც რომ გარღვევა იყო, როცა იმას მივაღწიეთ, რომ პოლიციელებმა შეწყვიტეს ქრთამის აღება. მაგრამ ამან, სამწუხაროდ, ჩვენი ბევრი სხვა რეფორმის მსგავსად, ცვლა განიცადა და მეტად უარყოფითი სახე მიიღო. ყოველივე კი იმის გამო მოხდა, რომ, როცა სააკაშვილმა ავტორიტარული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო, იგი პოლიტიკურ პოლიციად გადაიქცა, რომელიც, მართალია, ქრთამს აღარ იღებდა, სამაგიეროდ, პოლიტიკური ბრძანებების შესრულებაში პრემიებს ღებულობდა. კერძოდ, პოლიციისთვის დაუმორჩილებლობის საბაბით შეეძლოთ დაეპატიმრებინათ ხელისუფლებისთვის არასასურველი ნებისმიერი უდანაშაულო ადამიანი. ჰოდა, ისმება კითხვა: მაშ, რა სჯობს — როცა პოლიცია ქრთამს არ იღებს, მაგრამ პოლიტიკურ ბრძანებებს ასრულებს, თუ როცა ქრთამს იღებს და პოლიტიკურ დავალებებს არ ასრულებს? თქმა არ უნდა — ქრთამის აღება ცუდია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ კიდევ უფრო უარესია, როცა პოლიცია ქრთამს არ იღებს, სამაგიეროდ, პოლიტიკურ ბრძანებებს ასრულებს.

ვ. პ: — რა გამოდის — მესამე გზა არ არსებობს?

ნ. ბ. — ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, არ არსებობს.

ვ. პ: — ახლა მოდით, მთავარ საკითხზე გადავიდეთ, კერძოდ კი იმაზე, თუ რა განაპირობებს ურთიერთობებს რუსეთსა და საქართველოს შორის და, როგორც ჩანს, გარკვეული ხანგრძლივი დროის მანძილზე, კვლავაც იქნება ამ ურთიერთობათა განმპირობებელი? მხედველობაში მაქვს 2008 წლის აგვისტოს ომი. თუკი რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩის ეროსი კიწმარიშვილის სიტყვებს ვენდობით, რომლებიც მან კერძო საუბარში, ომამდე რამდენიმე თვით ადრე თქვა, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს დედაქალაქი ცხინვალი უნდა გამხდარიყო. მოვიყვან ციტატას: „ამ ოპერაციის ჩატარების ბოლო ვადა მაისის მიწურულისთვის იყო დანიშნული, მაგრამ მოგვიანებით მის განხორციელებაზე უარი თქვეს“. ესაა ყოფილი ელჩის ნათქვამი. რაც შეეხება ამ ოპერაციასთან ვაშინგტონის კავშირს და, ისევ სააკაშვილის უახლოეს გარემოცვას თუ დავიმოწმებთ, ამის თაობაზე ყოფილი ელჩი აცხადებს: „შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ სამხრეთ ოსეთში ოპერაციის განხორციელებას მწვანე შუქი აუნთო“. ეს ცნობა ერთ-ერთ გამოცემაში წლეულს 7 აგვისტოს გამოქვეყნდა. თქვენ შეგიძლიათ ამის დადასტურება ან უარყოფა?

ნ. ბ. — გასაკვირია, რომ ეს ამბავი წელს გამოქვეყნდა, რადგან ბატონი კიწმარიშვილი რამდენიმე წლით წინათ გარდაიცვალა. რაც შეეხება 2008 წელს, როცა ჩვენ მართლაც ომის ზღვარზე ვიყავით, ასევე მძიმე მდგომარეობა იყო აფხაზეთის მიმართებაშიც, რომლის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთი მას რკინიგზის აღდგენაში ეხმარებოდა, რაც უაღრესად უარყოფითად იყო აღქმული. მაგრამ, მაშინ მდგომარეობა იხსნა სააკაშვილისა და ვლადიმერ პუტინის პირისპირმა საუბარმა, რომელსაც თავადაც ვესწრებოდი და კარგადაც მახსოვს. მაშინ სააკაშვილს პირდაპირ უთხრეს (რის შესახებ, სხვათა შორის, არასდროს მომიყოლია, ვიდრე სააკაშვილმა თავად არ ილაპარაკა ამის თაობაზე პირდაპირ ეთერში), რომ ვიდრე რუსეთელი მშვიდობისმყოფელები აფხაზეთსა და ეგრეთ წოდებულ ოსეთში დგანან, საომარი მოქმედებები არავითარ შემთხვევაში არ დაეწყო, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის მხარის რეაქცია უკიდურესად ხისტი იქნებოდა, ჯარებსაც კი შემოიყვანდნენ საქართველოში. მაშინ, აპრილში, ეს ვითარება, მადლობა ღმერთს, მშვიდობიანად დასრულდა. ხოლო, რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს, სააკაშვილის გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვიიდრე ბატონი ბუში, რომელიც სერიოზულად უჭერდა მხარს სააკაშვილს, ხელისუფლების სათავეში იყო, ამის სრულად გამოყენება იყო საჭირო სამხრეთ ოსეთთან საკითხის გადასაწყვეტად. მე კი ნებისმიერი სამხედრო მოქმედებების წარმოებას თავიდანვე ძალიან დიდი სიფრთხილით ვეკიდებოდი. აგვისტოს თვეში მე უკვე აღარ ვიყავი ხელისუფლებაში, თუმცა 3 რიცხვში შევხვდი სააკაშვილს და გავაფრთხილე ასეთი მოქმედებების სახიფათო შედეგების თაობაზე.

ვ. პ: — საამისოდ რაიმე განსაკუთრებული საფუძველი გქონდათ, თუ ეს თქვენი პირადი აზრი იყო?

ნ. ბ. — საამისოდ მე განსაკუთრებული საფუძველი მქონდა. ერთი, რომ ვლადიმერ პუტინთან მისი საუბარი მახსოვდა, მეორეც ის, რომ ისიც სავსებით ცხადია, რომ არც ამერიკაშია ყველაფერი ასე ცალსახად. ნამდვილად არ ვიქნები მართალი, თუკი არ ვიტყვი, რომ მაისის თვეში შევხვდი აშშ-ის სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს, რომელმაც მითხრა: გადაეცით ბატონ სააკაშვილს, რომ პროვოკაციებს არ აჰყვეს (ამ სიტყვამაც გაიჟღერა) და არავითარი სამხედრო მოქმედებები არ წამოიწყოს, ვინაიდან ამ შემთხვევაში ამერიკა ვერაფრით დაგვეხმარებოდა, იგი არ დაიწყებდა რუსეთთან ომს საქართველოს გამო. მე მას ეს სიტყვები კი გადავეცი, მაგრამ ამას არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია. ასევე ისინი აგვისტოშიც გავიმეორე და შემდეგაც, რაც ცნობილი ტრაგიკული მოვლენები დატრიალდა. მე უკვე განვაცხადე იმის შესახებ, რომ დარწმუნებული ვარ, მიუხედავად თავისი არაპროგნოზირებისა, სააკაშვილი მეტ-ნაკლებად ფსიქიკურად ნორმალური კაცია, რომელიც, რა თქმა უნდა, ამერიკის მხრიდან გარკვეული გარანტიების მიღების გარეშე, ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. დარწმუნებული ვარ, რომ სენატორ მაკ-კეინის გუნდმა შესაძლო დახმარებასთან დაკავშირებით მას ცრუ დაპირებები მისცა. მინდა, აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება: 8 აგვისტოს იგი სრულიად იყო დარწმუნებული ამერიკულ მხარდაჭერაში, დამირეკა კიდეც და მითხრა — ჩართე ტელევიზორი, ახლა ბუში რუსეთს ომს გამოუცხადებს, ბომბდამშენები უკვე ჰაერშია და რუსეთის ჯარის დაბომბვას იწყებენო. წარმოიდგინეთ, როგორ სჯეროდა მას ბუშისა, რომ მისგან ამ განცხადებას ელოდა.

ვ. პ: — ყველაფერი ეს მან გითხრათ?

ნ. ბ. — დიახ, ასეა. ბუშის გამოსვლას სამჯერ მოვუსმინე და შოკში ვიყავი. მერე კი საკაშვილს ვუთხარი, არ მსურს მესამე მსოფლიო ომი საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყოს, ამერიკამ და რუსეთმა საქართველოში იომონ, ხოლო თუ ეს ასე მოხდება, მაშინ საქართველოსგან რაღა დარჩება-მეთქი?

ვ. პ: — თავდაპირველად დასავლეთში განაცხადეს, რომ აგვისტოში ომი რუსეთმა დაიწყო. წარმოდგენილი იყო უტყუარი მტკიცებულებები იმისაც, რომ სამხედრო მოქმედებები პირველმა საქართველომ დაიწყო, ბევრნი ახლაც ასე ფიქრობენ. ეს ხალხი აცხადებს, რომ რუსეთმა საქართველოს პროვოცირება მოახდინა, რომელიც იძულებული იყო, კონფლიქტში შესულიყო, რომ სააკაშვილს სხვა გამოსავალი არ ჰქონდაო. რის თქმა შეგიძლიათ ამის თაობაზე: იზიარებთ თუ არა ამ აზრს?

ნ. ბ. — დავიწყოთ იმით, რომ არჩევანი ყოველთვის არსებობს და სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ომისთვის თავის არიდება სავსებით შესაძლებელი იყო. პროვოკაციები ორივე, მათ შორის, რუსეთის გარკვეული ძალების მხრიდანაც იყო, ვინაიდან არც აქაა ყველაფერი ცალსახად და არსებობდნენ წრეები, რომელთაც სურდათ, რომ სააკაშვილს ომი დაეწყო. სააკაშვილთან დაკავშირებით კი მინდა ვთქვა, რომ როცა იცი, რომ პროვოცირებას გიპირებენ, ამ დროს ვალდებული ხარ, გაცილებით უფრო მეტად ფხიზლად იყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, იმის გამო, რაც ახლა უნდა ვთქვა, საქართველოში ხშირად მოღალატეს მიწოდებენ: დიახ საომარი მოქმედებები ოფიციალურად სააკაშვილმა დაიწყო, მაგრამ ის, რაც ამას შემდგომ მოჰყვა — საქართველოს დაბომბვა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაც, ეს, ცხადია, უაღრესად მტკივნეული იყო. ჩემთვის №1 ამოცანაა, რომ მსგავსი რამ შემდგომში აღარასოდეს განმეორდეს, რომ, როგორიც გნებავთ ღრმა იყოს უთანხმოება რუსეთსა და საქართველოს შორის, სამხედრო კონფლიქტამდე საქმე არ მისულიყოს.

ვ. პ: — ერთხელ თქვენ განაცხადეთ, ყოველ შემთხვევაში, მე ამის შესახებ წამიკითხავს, რომ ეს ომი, თუნდაც წაგებული, სააკაშვილს ჰაერივით სჭირდებოდა, იმიტომ რომ ამ შემთხვევაშიც კი, ის ძალაუფლებაში რჩებოდა. ეს ასე იყო?

ნ. ბ. — დიახ, თუმცა კი, სიმართლე გითხრათ, აღარ მახსოვს, ვთქვი თუ არა სიტყვა „წაგებული“, მაგრამ ვფიქრობ, რომ მას მაინც ეგონა, რომ ამ ომს მოიგებდა, იგი ამაში დარწმუნებული იყო.

ვ. პ: — განა ვინმე კი იწყებს ომს, თუკი გამარჯვების იმედი არა აქვს?

ნ. ბ. — იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა, არ გარისკავდა დაპირისპირებას საერთაშორისო თანამეგობრობასთან. თანაც მის გარემოცვაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც იმასაც კი გაიძახოდნენ — ჩვენ ახალი ტანკები გვაქვს, რუსებს კი — ჟანგიანებიო... ეს, ცხადია, სასაცილო იქნებოდა, ასე სადარდებელი რომ არ იყოს. მაგრამ ომი კი აუცილებლად სჭირდებოდა, რადგან ესმოდა, რომ უიმისოდ ხელისუფლების შენარჩუნებას ვერ შეძლებდა, მას პრობლემები ჰქონდა და ამიტომ დიდხანს ვერ გასტანდა.

ვ. პ: — 2017 წლის 26 მარტს ევროკავშირმა საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შემოიღო და, არსებული მონაცემებით, ამით უკვე ისარგებლა დაახლოებით 90 ათასმა კაცმა, რაც ქვეყნისთვის ცოტა არ არის. ამასთან დაკავშირებით თქვენ განაცხადეთ: „თავისთავად ევროპასთან უვიზო მიმოსვლის შემოღების ფაქტი პოზიტიურია, მაგრამ ამის გამო ატეხილი აჟიოტაჟი სრულიად უადგილოა — აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ხომ არ დაგვიბრუნებია? ჩემთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ცხინვალში ან სოხუმში ჩასვლა, ოღონდ არა ტურისტად, არამედ როგორც ჩემს ქვეყანაში, ვიდრე პარიზში ან ბრიუსელში გამგზავრება. მე მიყვარს პარიზში ჩასვლა, მაგრამ ცხინვალი და სოხუმი მირჩევნია“, — აღნიშნეთ თქვენ. ლამაზი ნათქვამია, ვერაფერს იტყვი, მაგრამ ხომ გეჩვენებათ, რომ თქვენ მიერ მოყვანილი არგუმენტები არც თუ კორექტულია? ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო რეჟიმის შემოღება ხომ არანაირად არ არის დაკავშირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებასთან? მაშ, რა საჭიროა ამის ერთმანეთთან შედარება?

ნ. ბ. — თქვენ უბრალოდ ყურადღება არ მიგიქცევიათ ციტატის დასაწყისისთვის. უვიზო რეჟიმის შემოღების გამო ისეთი აჟიოტაჟი ატყდა, ხალხის რეაქცია ისეთი იყო, თითქოს რაღაც ნათელი დღესასწაული დამდგარიყო. უვიზო რეჟიმი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ჩვენი ყველა პრობლემის გადაჭრას. უვიზო რეჟიმი, თავისთავად ცუდი არ არის (სხვათა შორის, იმედი მაქვს, რომ მალე ამას რუსეთიც გააკეთებს), მაგრამ ისეთი ვითარება შეიქმნა, თითქოს ყველაფერს ერთიანად მოევლო და გადაუწყვეტელი საკითხები აღარ დაგვრჩა. ეს არ იყო ჯანსაღი რეაქცია. ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა მზადაა, ყველაფერზე ილაპარაკოს, აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული ოსეთის პრობლემების გარდა. მე კი მიმაჩნია, რომ სწორედ ესაა ყველაზე მთავარი და იმიტომაცაა, რომ უვიზო რეჟიმის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი ჩემთვის მიუღებელია.

ვ. პ: — კითხვისთვის ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ რატომაა, რომ სულ „ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთს“ ამბობთ?

ნ. ბ. — ამის მიზეზი ისაა, რომ „სამხრეთ ოსეთი“ საკამათო ტერმინია, ჩვენ ამ ტერიტორიას „ცხინვალის რეგიონს“ ვუწოდებთ.

ვ. პ: — ათი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები აღარ არის, თუმცა ეს გარემოება რუსეთელებს ხელს დიდად არ უშლის: საქართველოში ჩასვლა მათ ყოველგყვარი ვიზების გარეშე შეუძლიათ, რითაც ყოველწლიურად მილიონი კაცი სარგებლობს კიდეც. პირადად მე შარშან დაბადების დღეც კი გადავიხადე თბილისში, დიდი სიამოვნებაც მივიღე და ძალზე თბილი დახვედრაც მქონდა. ქართველებს კი რუსეთში უვიზოდ ჩასვლა აკრძალული აქვთ. შარშან წლის დამლევს პუტინმა განაცხადა, რომ არ გამორიცხავს საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას, რისთვისაც ყველა საფუძველი არსებობს. ჰოდა, გამოდის, რომ საფუძველი კი არის, მაგრამ თავად უვიზო რეჟიმი — არა. რა უშლის ამას ხელს, თქვენ როგორ ფიქრობთ?

ნ. ბ. — ჩემი აზრით, ამას ხელს უშლის ამ სიტყვებზე საქართველოს მხრივ სათანადო რეაქციის უქონლობა. მათ სიხარული კი არ მოჰყოლია იმის გამო, რომ ისინი რუსეთის პირველმა პირმა წარმოთქვა და რომ ამ საკითხზე სასწრაფოდ საჭიროა მოლაპარაკებების დაწყება, არამედ რეაქცია ისეთი იყო, რომ, კი ბატონო, თუკი რუსებს ასე სურთ, დაე გააუქმონ სავიზო რეჟიმი. ეს კი, რაღა თქმა უნდა, უპასუხისმგებლობაა. ვითარება ხომ ასეთია: რუსები საქართველოში თავისუფლად ჩამოდიან, რუსეთში მცხოვრებ უამრავ ქართველს კი აუარება სერიოზული პრობლემა ექმნება. ყველაზე დიდი პრობლემა, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მთავრობას გარკვეული შიში ვერ დაუძლევია და ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყებას უფრთხის. რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული რთული ურთიერთობებისა და მრავალ პრობლემაზე რადიკალურად განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, მათ შორის, სამწუხაროდ, კონფლიქტური რეგიონების მიმართაც, მოლაპარაკებათა დაწყებად პირობები მაინც არსებობს. მეტიც: მათი დაწყება აუცილებელიცაა.

იხ. 8 გვ.

◎ პოზნერის პირისპირ

ნინო ბურჯანაძე:

მე ვარ არა პრორუსული, არამედ პროქართული პოლიტიკოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიცი, თუ რა სჭირდება საქართველოს...

(მეშვიდე გვერდიდან) სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობას დარღვევაზე წასვლის ვაჟკაცობა რომ გამოეჩინა და რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებზე წასულიყო, ჩვენ მრავალი მტკივნეული პრობლემის გადაწყვეტას დავიწყებდით. სულაც არა მაქვს იმის ილუზია, რომ ამ პრობლემების ასპროცენტიანად გადაჭრა სწრაფად შეიძლება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ ჩიხიდან გამოსვლა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

3. პ: — პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ თავკაცი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გიორგი ლომია აცხადებს: „დღეს რომ საქართველოში რეფერენდუმი ჩატარდეს, ვფიქრობ, მოსახლეობის 45 პროცენტი, შესაძლოა, მეტიც, რუსეთთან კარგი ურთიერთობების განახლების მომხრე იქნება. მაგრამ ამას თუ რაღაც იარლიყები მიაწებეს, ხალხი მოერიდება სიმართლის თქმას და მაშინ ამის მომხრე მხოლოდ 10-15 პროცენტი აღმოჩნდება. რა ინტერესი აქვთ სხვადასხვა დაჯგუფებებს იმაში, რომ ცხინვალთან, სოხუმთან თუ მოსკოვთან ურთიერთობათა ნორმალიზება არ მოხდეს? ესაა ფული: სეპარატიზმთან, ოკუპაციასთან ბრძოლაზე დიდი სახსრები გამოიყოფა. ამ თანხების 20 პროცენტი მასმედიაში პროპაგანდას ხმარდება, დანარჩენი ჯიბეში მიდის. ამ ბეღლის დაკარგვა არავის უნდა. სხვათა შორის, ასევეა რუსეთშიც, სადაც არიან ძალები, რომლებსაც ხელს არ აძლევთ საქართველოსთან ურთიერთობათა ნორმალიზება. ამასთან დაკავშირებით მაქვს ორი კითხვა: პირველი: ეთანხმებით თუ არა ამ კატეგორიულ მტკიცებას? და თუ ეთანხმებით, რომელი ძალებია რუსეთში ისეთები, რომლებსაც არ აწყობთ საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა?

ნ. ბ. — საქართველოში ბევრს ვმოგზაურობ და ვიცი, რომ იმ ადამიანთა ოდენობა, ვისაც რუსეთთან ურთიერთობათა ნორმალიზება სურს, 45 პროცენტზე გაცილებით მეტია. თანაც ეს ნამდვილად არ არის პრორუსული განწყობა, აქ საქმე სხვაგვარადაა. საჭიროა შეგვეძლოს ერთმანეთისგან „პრორუსული“ განწყობისა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სურვილის გარჩევა. ამის მომხრეები ის ადამიანებიც კი არიან, ვინც რუსეთს დიდად აკრიტიკებენ და მკაფიოდ არიან ორიენტირებული დასავლეთზე, თუმცა კი მშვენივრად ესმით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების აღდგენა. ამის მოწინააღმდეგენი საქართველოშიც არიან და რუსეთშიც. ზოგიერთნი თითქოს მონუსხულები არიან დასავლეთით, დასავლეთურობა კი რაღაც მოდის მსგავსია: თუ ამ ჭკუაზე ხარ, მაშასადამე, მოდური კაცი ხარ, ხოლო თუ ჩემსავით პრორუსული, მაშასადამე, ჩამორჩენილი, გუშინდელ დღეში ჩარჩენილი ვინმე ხარ. წეღანაც ვთქვი, რომ ურთიერთობათა ნორმალიზების მოწინააღმდეგენი რუსეშთიც არიან-მეთქი. ამით იმის ინტერესი, შესაძლოა, ფინანსური ხასიათისა იყოს, დანამდვილებით მტკიცება არ შემიძლია. მათ შორის ზოგს მიაჩნია, რომ რაც უფრო ცუდად იქნება საქართველოს საქმე, მით უკეთესი ეს რუსეთისთვის, რაც ყველაზე მცდარი შეხედულებაა. სწორედ ამის გამოც იყო, რომ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას საკითხისადმი სრულიად განსხვავებული დამოკიდებულება დავინახე, ყოველ შემთხვევაში, ის არ მიგრძნია, რომ რაც უფრო უარესად იქნება რუსულ-ქართული ურთიერთობები, რაც უფრო ცუდად იქნება საქართველოს საქმე, მით უკეთესი. დავინახე, რომ მას ესმის, რომ რუსეთის გრძელვადიანი ინტერესებისთვის უმჯობესია საქართველოსთან ნორმალურ ურთიერთობათა ქონა. როცა ორი წლის წინათ მოსკოვში ჩამოვედი, ძალიან კარგი შეხვედრები მქონდა საკმაოდ მაღალ დონეზე, რასაც საქართველოშიც კარგი გამოხმაურება მოჰყვა და რუსეთშიც. ჰოდა, უკვე აეროპორტში მიმავალი ვიგებ, რომ საქართველოში რუსმა სამხედროებმა საზღვარი ქვეყნის შიგნით გადმოწიეს. დამეთანხმებით, რომ არ შეიძლებოდა ეს ამბავი შემთხვევითი ყოფილიყო. მაშინ მივხვდი, რომ ხელისუფლების გარკვეულ დონეზე არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ურთიერთობების ნორმალიზება. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ყველაფერი სისულელით მოუვიდათ — მსგავსი რაღაცები, სამწუხაროდ, ზოგჯერ ხდება.

3. პ: — მინდა მოსკოვში თქვენს ჩამოსვლასა და ამ ვიზიტის შესაძლო შედეგებს მივუბრუნდე. ზოგიერთი ადამიანი საქართველოში მიიჩნევს, რომ თქვენ პრორუსული პოლიტიკოსი ხართ. თქვენ მოსკოვს სტუმრობთ, ბევრს თქვენთვის ვერ უპატიებია, რომ პუტინთან ერთად თქვენ ფაშიზმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი გახსენით, რომლის მსგავსი მანამდე ქუთაისში ააფეთქეს. კულტურის ექსმინისტრ ნიკოლოზ რურუას მაშინ ამაზე ასეთი რეაქცია ჰქონდა: „ესაა ტიპურად კოლაბორაციონალისტური მოქცევა. როცა სტუმრად იმ სახელმწიფოში ჩადიხარ, რომელმაც შენი ქვეყნის ოკუპაცია მოახდინა, საბჭოური მემორიალის გახსნას ზეიმობ, ეს ოკუპაციის გამართლებასა და საკუთარი ხალხის სრულ უპატივცემულობას ნიშნავს“. ეს სიტყვები 2010 წელს იყო ნათქვამი. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, რუსეთთან ასეთი სიახლოვე იმ ქართველი პოლიტიკოსისთვის, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობს და პრინციპში გამარჯვებას გეგმავს, უფრო მინუსია თუ პლუსი? რა არგუმენტებით ხელმძღვანელობდით, როცა ან მოსკოვში წამოსვლას, ანდა შემდეგ ჩემს გადაცემაში მოსვლას წყვეტდით?

ნ. ბ. — ამის არგუმენტები მრავლადაა. რაც შეეხება თქვენს პროგრამას, მე პირადად დიდად გაფასებთ როგორც ჟურნალისტსა და როგორც პიროვნებას, ამდენად თქვენთან სტუმრობა ჩემთვის ძალიან საინტერესოა. თანაც, .გარკვეულწილად, ეს ერთგვარი გამოწვევაცაა, თუმცა კი გადაწყვეტილების მიღებისას მე, რაღა თქმა უნდა, იმითაც ვხელმძღვანელობდი, რომ ამ პროგრამას ბევრი ადამიანი უყურებს რუსეთშიც და საქართველოშიც. რომლებსაც ჩემი პოზიცია მინდა გავაცნო. დიახ, საბაკაშვილმა კარგად მიაგნო ოპონენტებზე მისაკრავ იარლიყს, ვინაიდან როგორც კი პრორუსულ პოლიტიკოსად შემრაცხეს, მაშინვე დავკარგე დასავლეთის მხარდაჭერა, დაიწყო იმიჯის ერთგვარი მსხვრევა. იქნებ მიამიტურად, მაგრამ მაინც მწამდა, რომ ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, სხვები, იმაზე არ არის დამოკიდებული — პრორუსული პოლიტიკოსი ხარ თუ არა. კარგია, რომ ეს ილუზიები გამეფანტა, თუმცა კი გარკვეული დაგვიანებით. მე თვალნათლივ დავინახე, რომ ყველაფრის მიუხედავად „რადიკალურ ოპოზიციონერად“ მნათლავენ, სირიაში თავების მსხეპავ ხალხს კი „ ზომიერ ოპოზიციას “ უწოდებდნენ. პრორუსულობის ტვირთის ზიდვა კი მართლაც მძიმე იყო, მით უმეტეს, როცა ოჯახის, შვილების, ახლობელ-ნათესავების პატრონი ხარ. მჯერა, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველები ირწმუნებენ, რომ ჩვენთვის მტკივნეული კონფლიქტების გადასაჭრელად აუცილებელია რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების ქონა. მე გავაკეთე ჩემი არჩევანი, მე ვარ არა პრორუსული, არამედ პროქართული პოლიტიკოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიცი, თუ რა სჭირდება საქართველოს, ეს იმას ნიშნავს, რომ როგორი რთულიც უნდა იყოს ეს, საჭიროა რუსეთთან კარგი ურთიერთობების დამყარება. მინდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას რუსეთში საფრთხედ არ აღიქვამდნენ. არადა, საქართველოს ასეთი აღქმა რუსეთში ღალატად, შეურაცხყოფად აღიქმება, ანუ რუსეთი ვერ შეეგუა იმას, რომ საქართველო დამოუკიდებელი გახდა. მე სიტყვებიც კი მახსოვს: „ჩვენ თქვენ ასე გვიყვარხართ, მაშ, რატომ გადაწყვიტეთ დამოუკიდებლობა“? მიმაჩნია, რომ რუსეთმა აუცილებლად უნდა შეიგნოს, თუ რას ნიშნავს საქართველოსთვის დამოუკიდებლობა.

3. პ: — გარკვეული ვითარების გამო კაცმა შეიძლება აზრი შეიცვალოს, ვთქვათ, გახდეს ათეისტი, ანდა, პირიქით მოხდეს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ათწლეულის წინათ რუსეთის მიმართ თქვენი ზოგიერთი გამონათქვამი უაღრესად მკვეთრია. მაგალითად: „გარწმუნებთ, რუსეთი სრულიად მარტოკა დარჩება, რადგან მსოფლიო მხარს არ დაუჭერს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. აფხაზეთი ჩვენი სამშობლოა, დედაზე კი უარს არც ერთი ნორმალური კაცი არ იტყვის, იგი მისი ღირსების დასაცავად ყველა შესაძლო ხერხით იბრძოლებს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე!“ ან კიდევ: „რუსეთი არათანამიმდევრულად იქცევა და თავისი არაგამჭვირვალე მოქმედებების გამო ის საფრთხეს წარმოადგენს“. ასევე: „რუსეთმა თავადვე გეგმაზომიერად განდევნა საკუთარი თავი კავკასიიდან სეპარატისტთა მხარდაჭერით, სავიზო რეჟიმის შემოღებით. ადრე თუ გვიან, მას ისევე მოუწევს ამის შეგუება, როგორც შეეგუა ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობას. განა რამდენი ხანი შეიძლება მსოფლიო საფრთხობელად ყოფნა?“ ახლა კი იმავე ნინო ბურჯანაძის სიტყვები გავიხსენოთ, რომლებიც მან 2017 წელს თქვა: „საერთოდ კი მიმაჩნია, რომ ყირიმი რუსეთს ეკუთვნის ისევე, როგორც აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი ქართული მიწებია“. ან კიდევ: „ვისურვებდი, რომ საქართველოსაც ჰყოლოდა ისეთივე პრეზიდენტი, როგორიცაა რუსეთისთვის პუტინი“. მაშ, რა ცვლილებები მოხდა თქვენში ბოლო წლებში, ეს ხომ ძალიან განსხვავებული შეხედულებებია?

ნ. ბ. — გეთანხმებით, თქვენ მიერ მოყვანილი ციტატების პირველი ნაწილი ძალიან ხისტია. როცა ვამბობ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაში რუსეთი მარტოკა დარჩება, არც ახლა მგონია, რომ მის მაგალითს სხვა ქვეყნებიც მიჰყვებიან, გარდა იმისა, ვინც უკვე გააკეთა ეს. დიახ, სწორედ რომ ასეა: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — ესაა ქართული მიწები ისევე, როგორც იმ ხალხის კუთვნილებაა, ვინც იქ ცხოვრობს. ასევე მიმაჩნია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ შეცდომა იყო, რამაც ჩიხში შეგვიყვანა, თუმცა კი იმედი მაქვს, რომ ერთობლივი ძალისხმევით ჩვენ მაინც შევძლებთ იქიდან გამოსვლას. რაც შეეხება კავკასიიდან რუსეთის თვითგაძევებას, ამ შემთხვევაში კვლავაც შემიძლია გავიმეორო უწინ ნათქვამი: იმ დროს რუსეთმაც და საქართველომაც, ორივემ ერთად, ხელიდან გაუშვეს მრავალი პრობლემისთვის თავის არიდების უამრავი შესაძლებლობა. ეს, რა თქმა უნდა, იმას სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთი ხელის ერთი დაკვრით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს დაგვიბრუნებს, საქართველომ თავად უნდა აწარმოოს დიალოგი აფხაზებთანაც და ოსებთანაც, ოღონდ ამაში რუსეთმა ხელი კი არ უნდა შეგვიშალოს, არამედ დაგვეხმაროს. ამის გაკეთება მას სავსებით შეუძლია, რაც სრულიად შეცვლის მის მიმართ ქართველი ხალხის დამოუკიდებულებას.

ხოლო რაც შეეხება ვლადიმერ პუტინს, დიახ, მე ვთქვი ეს სიტყვები, რადგან მიმაჩნია, რომ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი სუსტი იყო, დაჩოქილი, მას პატივს აღარ მიაგებდნენ, ახლა კი სულ სხვა რამეს ვხედავ: იგი ფეხზე წამოდგა, წელში გაიმართა. ამიტომაც მინდა, რომ ჩემს ქვეყანასაც ისეთი პრეზიდენტი ჰყავდეს, რომელიც საქართველოს ფეხზე წამოაყენებს, ყველას მის პატივისცემასა და ანგარიშის გაწევას აიძულებს. ეს, რაღა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაცა იდეალურია.

3. პ: — მე მეტი შეკითხვა აღარა მაქვს, სამაგიეროდ, ისინი ჩემს „მეგობარ“ მარსელ პრუსტს აქვს:

— რა იწვევს თქვენში ყველაზე დიდ შიშს?

ნ. ბ. — ალბათ, ღალატი.

3. პ: — რა თვისება არ გიყვართ ყველაზე მეტად საკუთარ თავში?

ნ. ბ. — იმის თქმა არ მიყვარს-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ძალიან არ მომწონს, რომ დღევანდელ დღემდეც კი ძალზე ადვილია ჩემთვის გულისტკენა და ზედმეტად მიმნდობი ვარ.

3. პ: — რა თვისება არ მოგწონთ ყველაზე მეტად სხვებში?

ნ. ბ. — ქედმაღლობა. და კიდევ სისულელე.

3. პ: — დამისახელეთ, თუ შეგიძლიათ, კაცობრიობის ისტორიაში ნებისმიერი ეპოქის სამი პიროვნება, რომელიც თქვენში აღფრთოვანებას იწვევს?

ნ. ბ. — ბავშვობაში ჩემს აღრთოვანებას დეკაბრისტების ცოლები იწვევდნენ. მათი საქციელი ჩემს უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა, ახლა კი მიჭირს იმის თქმა, თუ რა იწვევს ჩემს აღფრთოვანებას. ინტერესი — კი, მაქვს, პატივისცემაც, ხოლო რაც შეეხება აღფრთოვანებას... ამას დაფიქრება სჭირდება... წეღანაც ხომ გითხარით, რომ მეც ერთგვარად დავემშვიდობე ილუზიებს... ისე კი, დიდად მაინტერესებს ბისმარკი, კაცი, რომელმაც შეძლო თავისი ქვეყნის ფეხზე წამოყენება.

3. პ: — როდის ცრუობთ?

ნ. ბ. — ვცდილობ, ასე არ მოვიქცე. სხვა გამოსავალი თუ არა მაქვს, გავჩუმდები, მაგრამ ტყუილს არ ვიტყვი.

3. პ: — როგორია თქვენი ამჟამინდელი განწყობა, როგორ აღწერდით მას?

ნ. ბ. — რაც შეეხება ჩემს ამჟამინდელ განწყობას, გარკვეულწილად, ის მაინც ოპტიმისტურია, ვინაიდან იმედი მაქვს, რომ იმას, რასაც ვაკეთებ, შედეგი მოჰყება.

3. პ: — რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

ნ. ბ. — ყველაზე მეტად იმას ვაფასებ, რომ არც ისინი გავაწბილო და არც თავად გავწბილდე.

3. პ: — სიკვდილის თუ გეშინიათ?

ნ. ბ. — არა, არ მეშინია. თუმცა კი დიდად არ მივიჩქარი, ჩემთვის ჯერ ნაადრევია...

3. პ: — როდის და სად იყავით ყველაზე მეტად ბედნიერი?

ნ. ბ. — მიჭირს რომელიმე მომენტის გამოყოფა... ისინი უდავოდ იყო და, იმედი მაქვს, მომავალშიც იქნება.

3. პ: — არ ვიცი, მორწმუნე ხართ თუ არა, მაგრამ მაინც გკითხავთ: უფლის წინაშე რომ წარდგებით, რას ეტყვით?

ნ. ბ. — ათეისტი რომ ვყოფილიყავი, აუცილებლად ვიტყოდი, რომ ქვეყანაზე უამრავი უსამართლობაა. მაგრამ, როგორც მორწმუნე, ვიტყვი, რომ მართებულად ცხოვრებას ვცდილობდი და თუკი არასწორი საქციელი ჩამიდენია, იმედი მაქვს, რომ შემიწყალებს.

3. პ: — გმადლობთ, ქალბატონო ნინო...

◎ მწვანე კონცხი ისევ სახალხო იძნება

აჭარის მთავრობამ მწვანე კონცხის პლაჟის გასხვისება გადაიფიქრა

Kakha MCHEDLIDZE (RFE/RL)

მწვანე კონცხის პლაჟის ნაწილს ეკონომიკის სამინისტრო აღარ გაასხვისებს. ბათუმის ბოტანიკური ბაღის ზღვის სანაპიროს 6 500 კვ/მ ფართობს კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტი“ 49-წლიანი იჯარით სიმბოლურ ფასად ითხოვდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე ამბობს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაითვალისწინა საზოგადოების მოთხოვნა, პლაჟი კერძო საკუთრებაში არ გადაცემულიყო და ინვესტორს უარი უთხრა:

„რადგანაც, იყო მოსაზრება, რომ შეესაძლოა ეს პლაჟი დაიკეტოს და საზოგადოებიდანაც იყო შიშიც, ვარაუდიც, რომ ეს იქნება კერძო პლაჟი, აქედან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება სარგებლობაში არ გადაგვეცა, ხოლო მის მოვლა-პატრონობაზე ვალდებულებას ჩვენ ვიღებთ“.

მწვანე კონხცის პლაჟის მოვლა-პატრონობა, ქალაქის დანარჩენი სანაპიროს მსგავსად, ბათუმის მერიას ევალება, თუმცა პლაჟის ეს მონაკვეთი, რომელიც ბოტანიკური ბაღის სანაპიროს ნაწილია, აჭარის ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში რჩება და უწყება მის დაბრუნებას ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის არ აპირებს.

მწვანე კონცხზე ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან მდებარე 1 300 კვ/მ ფართობის მიწის ნაკვეთი და 6 500 კვ/მეტრი პლაჟის ტერიტორია, 49-წლიანი იჯარით ინვესტორისთვის გადაცემის მიზნით, ბათუმის მუნიციპალიტეტმა ეკონომიკის სამინისტროს უსასყიდლოდ მისცა. მიმდინარე წლის 31 სექტემბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე ამ გადაწყვეტილებას 11-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგ კი 4 დეპუტატი წავიდა. მათ შორის იყო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც სასამართლოში შეიტანა სარჩელი. ისინი ითხოვენ ბათუმის საკრებულოს გადაწყვეტილების გაბათილებას და მწვანე კონცხის პლაჟის ქალაქის მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებას. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ახალი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი მირდატ ქამადაძე მიიჩნევს, რომ მწვანე კონცხის სანაპირო აჭარის მთავრობას უკანონოდ გადაეცა:

„პლაჟი განუსხვისებელი ტერიტორიაა და მისი საკუთრებაში გადაცემა კანონით არის აკრძალული. თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, განუსხვისებელი ტერიტორიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროა საკრებულოს წევრთა შემადგენლობის 2/3-ის ხმა, ბათუმის საკრებულოს შემთხვევაში კი 17 დეპუტატის ხმა იყო საჭირო, რომ სხვისთვის გადაეცა საკუთრებაში“.

ბევრი ბრაზდება, რატომ შეისყიდაო, მაგრამ მოუვლელი რომ იყო?! მთავარია, იყოს სისუფთავე და ტურისტი მოიზიდოს და ადგილობრივმაც შეძლოს შესვლა, ხელმისაწვდომი ფასები იყოს...

ვიდრე ბათუმის საქალაქო სასამართლო მუნიციპალური საკუთრების, მწვანე კონცხის პლაჟის, აჭარის მთავრობისთვის გადაცემის კანონიერების საკითხს დაადგენს, აჭარის ეკონომიკის სამინისტრომ პლაჟის გასხვისება გადაიფიქრა და ინვესტორ კომპანიას მიწის ნაკვეთები მწვანე კონცხსა და მახინჯაურში გადასცა. ხელშეკრულება 3 ნოემბერს გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტი“ 7 944 კვ/მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის მფლობელი გახდა. აქედან 650 კვ/მ მახინჯაურშია, ხოლო დანარჩენი მწვანე კონცხზე მდებარეობს.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურისტი გელა ცინცაძე ინვესტორ კომპანიასთან რაიმე სახის კავშირს ყოფილ პრემიერ- მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან არ ადასტურებს და ლაპარაკობს საინვესტიციო ვალდებულებაზე, რაც უწყებამ კომპანია „ბიზნეს დეველოპმენტს“ ხელშეკრულებაში პირობად ჩაუდო:

„კომპანია უზრუნველყოფს კვების ობიექტების, ღია ტიპის საცურაო აუზის, საზოგადოებრივი დანიშნულების საბაგირო სადგურის მშენებლობას. ეს საბაგირო სადგური ზღვის სანაპიროსა და ბოტანიკური ბაღის ქვედა შესასვლელს დააკავშირებს ზედა შესასვლელთან. 36 თვეში კომპანიამ უნდა უზრუნველყოს საბაგირო გზის ფუნქციონირება, ასევე, კონტრაქტის თანახმად, უნდა განახორციელოს 2 500 000 ლარის ინვესტიცია“.

Eka Lortkipanidze (Courtesy Photo)

მწვანე კონცხზე მცხოვრები გამოკითხული მოქალაქეების ნაწილი ინვესტიციის განხორციელებას მიესალმება იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივებისთვის სამუშაო ადგილები შეიქმნება, ნაწილი კი ტერიტორიების კერძო საკუთრებაში გადაცემის წინააღმდეგია:

„...არაფერს არ ვფიქრობ... თუ არის გაყიდული, მივესალმები ნებისმიერ ინვესტიციას, რომელიც მწვანე კონცხზე განხორციელდება...“

„არაფერი არ ვიცი, ჩვენ ვინ გვეტყვის რამეს? კაციშვილმა არ იცის, აქ ვისი რა არის, ვერ გაიგებ. ანარქიაა და არავითარი გამჭვირვალობა. თავიდან აქ დასასვენებელი სახლი, ყვავილნარი და ბაღნარი იყო. ადგილობრივებისთვის მიეცათ, ვინც ხეირს დააყრის და გასწვდება. ყველაფერი ერთი კაცის იყოს და დანარჩენი არავისი არაფერი იყოს, ასე არ გამოვა. ახლა იქ კი გაკეთდება მაგარი რაღაცები, მაგრამ ჩვენ რა?!“

ეკა ლორთქიფანიძე

ქართული ღირსშესანიშნაობები და ინდოელები საქართველოში

ინდური გამოცემის მიერ მომზადებულ სტატიაში, რომელიც გამიზნულია ტურიზმისა და მოგზაურობის მოყვარულებისთვის, გადმოცემულია საქართველოს მდგომარეობა, ზოგადი ეკონომიკური და დემოგრაფიული მონაცემები, ეთნიკური შემადგენლობა, სახელმწიფო ენა, რელიგია, კლიმატი და ა.შ.

სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ კუნალ ჯეინის ავტორობით გამოქვეყნებული მასალის რეზიუმეს:

პუბლიკაციაში ყურადღება განსაკუთრებით ეთმობა ტრადიციებს, დღესასწაულებს, ღირსშესანიშნაობებს, სამზარეულოს. რასაკვირველია, მასში მოხსენიებულია ლეგენდაც, თუ რატომ უბოძა ღმერთმა ქართველებს ასეთი სამოთხისმაგვარი კუთხე.

სტატიაში საუბარია საქართველოში მცხოვრებ ინდოელებზეც: „საქართველოში ინდური სათვისტომო ძირითადად შედგება სტუდენტებისაგან, ბიზნესმენებისაგან, სასოფლო-სამეურნეო ფერმერებისაგან და სხვა სპეციალისტებისაგან. ინდოელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2012 წლიდან და დღეს მათი რაოდენობა თითქმის ორი ათასს აღწევს. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში თითქმის 700-მდე ინდოელი სტუდენტი სწავლობს (ძირითადად სამედიცინო უნივერსიტეტში). ასევე 200-მდე სპეციალისტი მუშაობს საქართველოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე. რას შეეხება ეკონომიკას: ინდოეთს საქართველოსთან ვაჭრობაში დადებითი სალდო აქვს. 2015-2016 წლებში ინდოეთმა საქართველოში გაიტანა 82,7 მლნ. დოლარის ოდენობის პროდუქცია, შემოიტანა - 24,7 მილიონისა. ინდური ინვესტიციები ძირითადად ჩადებულია მეტალურგიაში, სოფლის მეურნეობაში და სხვა დარგებში. საქართველოში ინდივიდუალური ინვესტორები ძირითადად პენჯაბელები არიან (დაახლოებით 150 ფერმერი), რომლებმაც მიწა შეიძინეს და მოსავალი მოჰყავთ. ბოლო წლებში გააქტიურდა თანამშრომლობა ელექტროენერგეტიკისა და სამედიცინო პრეპერატების წარმოების სფეროშიც.

პუბლიკაციის დასასრულს ავტორი ინდოელ მკითხველს აცნობს საქართველოსთან სავიზო რეჟიმს (ელექტრონული ვიზის მიღების წესს), საქართველოში გამგზავრებისათვის აუცილებელ მარშრუტს და იმ ავიაკომპანიებს, რომლებიც ინდოეთის აეროპორტებიდან, დუბაისა და სტამბოლის გავლით, თბილისში დაფრინავენ. იქვე ჩამოთვლილია თბილისის და საქართველოს ღირსშესანიშნაობები, რომლებიც, ავტორის აზრით, საინტერესო იქნება ინდოელი ტურისტებისათვის: ნარიყალა, მცხეთა, ყაზბეგი, გერგეთის სამება, უფლისციხე, ბათუმი და ა.შ.

„The Statesman“ (ინდოეთი)

ინდური გაზეთის შეცდომა

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ბოლო ხანებში ინდურ პრესაში ანტიქართული სტატიები ზედიზედ გამოქვეყნდა, მათ ფონზე The Statesman-ის პუბლიკაცია ზოგადად ნორმალურად გამოიყურება. დიახ, ზოგადად ნორმალურად, მაგრამ... თუ გამოცემის მე-13 გვერდზე გამოქვეყნებულ საქართველოს (Georgia-ს) კონტურს დავაკვირდებით, იქ ამერიკული „ჯორჯიის“ რუკის კონტურია ნაჩვენები...

ინდოელებმა დასანანი შეცდომა დაუშვეს... ამიტომაც მიზანშეწონილია, რომ ჩვენი სახელმწიფოს — საქართველოს სახელწოდება უცხო ენაზეც ქართულ-ერთვნულად ჟღერდეს — SAQARTWELO. ასე თუ გაკეთდება, უცხოელებს აღარ აერევათ კავკასიური უძველესი საქართველო 200 წლის ამერიკულ „ჯორჯია“-ში. (რედ.)

ინფორმაცია

2018 წლის 17 იანვარს 14:00 საათზე, ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში მის: წერეთლის №11-ში გაიმართება E60 ავტომაგისტრალის, ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას F4 ქვ.წევა-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. შეხვედრის მიზანია დაგეგმილ სამუშაოთა ზემოქმედების არეალში მოქცეული ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებგვერდზე:** www.georoad.ge
- **ზესტაფონის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ბეჭდური ვერსია.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქალბატონ ლუიზა ბუბაშვილს ტელ: 595 219141 ელ.ფოსტა: likabubashvili@yahoo.com

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე.

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

სენსაციისგან ორ მეტრზე,

ანუ მასპინძელთა დებიუტი სტუმართა ენდშპილით

გასულ შაბათს ლეგენდარულ „ფრინსიფალითი სთედიუმზე“ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები სპორტის ამ სახეობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ სენსაციასთან ძალიან ახლოს იყო. არადა, მატჩამდე, ალბათ, ცოტა თუ იფიქრებდა ასეთ ანგარიშს. უმეტესობას ეგონა, რომ ჩვენს გუნდს უელსთან დაპირისპირებაში შანსი არ ჰქონდა.

ნოემბრის ტესტების პირველ მატჩში „ბორჯღალოსნებმა“ შინ კანადას 32 ქულის სხვაობით აჯობეს და ბრიტანეთში ამაღლებული განწყობით გაემგზავრნენ. მილტონ ჰეიგმა მოედანზე (ერთი ცვლილების გარდა – გამოცდილმა მერაბ კვირიკაშვილმა გიორგი კვესელაძე ჩაანაცვლა)კანადის დამმარცხებელი შემადგენლობა გაიყვანა, უელსელებმა კი ავსტრალიასთან წაგების შემდეგ 14 ცვლილება განახორციელეს.

ქომაგებით პირთამდე სავსე სტადიონზე პაექრობა მასპინძელთა იერიშებით დაიწყო და მთელი 20 წუთის განმავლობაში სტუმრები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს. მე-6 წუთზე რის პრისტლენდმა უელსი ჯარიმით დააწინაურა, ხოლო 13 წუთის შემდეგ ჰალამ ამოსმა ამ პაექრობის ერთადერთი ლელო გაიტანა, რომელიც პრისტლენდმა ზუსტად გარდასახა – 10:0. ამის შემდეგ ჩვენს ბიჭებს დაძაბულობა მოეხსნათ და გააქტიურდნენ. მათ შერკინებაში დაჯაბნეს მეტოქე (10-დან 9 მოიგეს) და 29-ე წუთზე სოსო მათიაშვილმა 31 მეტრიდან გატანილი ბურთით ქულათა სხვაობა შეამცირა – 10:3. პირველი ტაიმიც ასე დასრულდა.

შესვენების შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, ქართველმა მორაგბეებმა აშკარად აჯობეს უელსელებს. 48-ე წუთზე მათიაშვილმა უკვე 40 მეტრიდან ზუსტად შეასრულა საჯარიმო დარტყმა – 10:6, მაგრამ თოთხმეტიოდე წუთში პრისტლენდმა კიდევ ერთხელ იყოჩაღა – 13:6. მატჩის ბოლო 15 წუთი საქართველოს ნაკრების სცენარით წარიმართა: 68-ე წუთზე „ბორჯღალოსნებს“ ლელომდე 3 მეტრი აშორებდათ, მაგრამ უელსელებმა ქართველთა იერიში აკრძალული ხერხით შეაჩერეს და ჩვენებმა შერკინება მოითხოვეს. სამწუხაროდ, გადამწყვეტ მომენტში სტუმრები დაჯარიმდნენ. შეხვედრის კულმინაცია იყო ბოლო წუთი, როცა „ბორჯღალოსნები“ სალელოვე მოედანს 2 მეტრზე მიუახლოვდნენ, თუმცა, უელსელები სენსაციისა და საკუთარი მაყურებლების წინაშე შერცხვენისგან ფორტუნამ და ეშმაკობამ იხსნა. რაგბის სამყაროში ამას უღირს საქციელსაც უწოდებენ: მასპინძლებმა მოიმიზეზეს, რომ შეცვლილი ბურჯი ტრავმირებული ჰყავდათ და მოედანზე შესვლა აღარ შეეძლო. ამდენად, ქართველებს შერკინებაში მიწოლის უფლება აღარ ჰქონდათ და ბურთი კიდეში გადაიტანეს. საბოლოოდ უელსმა 13:6 გაიმარჯვა.

კარდიფში ჩვენების თავდადებული თამაშის შემდეგ სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობა იმ აზრზეა, რომ საქართველოს ნაკრები 6 ერში მიღებას იმსახურებს.

„მთელ ქვეყანას ვაჩვენეთ, რომ ასეთ ტემპში თამაში შეგვიძლია. მერწმუნეთ, საქართველოში ახლა ყველა ბედნიერი და ამაყია. შედეგით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვართ, მაგრამ ბიჭებმა სული და გული ჩადეს ამ მატჩში და გაიღეს ყველაფერი, რათა სამშობლოში მათით იამაყონ“, – განაცხადა ორთაბრძოლის შემდეგ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა.

უელსის წინააღმდეგ „ბორჯღალოსანთა“ პაექრობას უცხოურ მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. **„საქართველომ თამაშის ბოლო ნაწილი უელსელთა ნახევარზე გაატარა, თუმცა, ბურთის დამიწება ვერ მოახერხა. ამოსის ერთადერთმა ლელომ გამარჯვება უელსს მოუტანა, მაგრამ ეს თამაში მხოლოდ ქართველების სასარგებლოდ მეტყველებს. საქართველო დომინირებდა შერკინებაში და ეს თამაში დიდი განაცხადია ექვს ერში მოხვედრაზე“,** – წერს ავტორიტეტული Daily mail-ი.

BBC-ის მიმომხილველი აღნიშნავს: **„საქართველომ, რომელიც უკვე იმყოფება რეიტინგში იტალიაზე წინ, ექვს ერში მოხვედრის მოთხოვნა კიდევ უფრო გაამყარა“.**

საქართველოს ნაკრები 2017 წლის დასკვნით შეხვედრას 25 ნოემბერს გამართავს – „მიხეილ მესხზე“ აშშ-ს უმასპინძლებს.

ჩვენმა გუნდმა უელსში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მათიაშვილი, კოშაძე (კვირიკაშვილი, 75), კაჭარავა, შარიქაძე, მოდებაძე, ხმალაძე (ჯინჭველაშვილი, 47), ლობჟანიძე (ბეგაძე, 56), ნარიაშვილი (ასეიშვილი, 67), ბრეგვაძე (მამუკაშვილი, 67), ჩილაჩავა (ბეკოშვილი, 63), მიქაუტაძე, ნემსაძე (ჩხაიძე, 66), ლომიძე, კოლელიშვილი (თხილაიშვილი, 63), ბიწაძე.

ნოემბრის სხვა ტესტები: იაპონია – ტონგა 39:6, ნამიბია – ურუგვაი 36:52, ბელგია – ბრაზილია 14:23, რუმინეთი – სამოა 17:13, იტალია – არგენტინა 15:31, ინგლისი – ავსტრალია 30:6, ესპანეთი – კანადა 27:37, გერმანია-აშშ 17:46, შოტლანდია – ახალი ზელანდია 17:22, ირლანდია – ფიჯი 23:20, საფრანგეთი – სამხრეთი აფრიკა 17:18.

ლაშა დიდია

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ეროვნული ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ჯანპიერო ვენტურასა და მოთამაშეებს შორის კონფლიქტი მომხდარა.

Sky Sport Italia-ს ინფორმაციით, ჯანლუიჯი ბუფონი, დანიელე დე როსი და ანდრეა ბარძალი, შვედეთთან მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე, 69 წლის სპეციალისტის იგნორირებას ახდენდნენ, რის შემდგომაც ვენტურამ გუნდი მიატოვა და არც სატელეფონო ზარებს პასუხობდა.

როგორც წყარო იტყობინება, მოთამაშეებმა მწვრთნელის გარეშე განიხილეს თამაშის ტაქტიკური ასპექტები.

შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის საგზურის გარეშე დარჩა, იტალიელი სპეციალისტი კი თანამდებობიდან დაითხოვეს.

Sოგეხბურთი Mხოკა

13 ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, 13 წაგება – ეს ყველა დროის ანტირეკორდია და მისი ავტორი იტალიური „ბენევენტო“ გახდა. რობერტო დე ძერბის გუნდმა სერია A-ს სასტარტო 13 შეხვედრაში ერთი ქულის მოპოვებაც ვერ მოახერხა, ფეხბურთის ისტორიაში კი ასეთი ცუდი მაჩვენებელი არცერთ კლუბს ჰქონია.

„ბენევენტომ“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ 87 წლის წინანდელი შედეგი „გააუმჯობესა“, რომელმაც 1930-1931 წლების სეზონში ინგლისის ჩემპიონატის სტარტზე თორმეტიდან თორმეტივე მატჩი წააგო.

აქვე გეტყვით, რომ საუბარი მხოლოდ ტოპ ხუთ ჩემპიონატზეა (ბუნდესლიგა, ლა ლიგა, პრემიერლიგა, სერია A და ლიგა 1).



„ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠ ᲘᲣᲜᲐᲘᲢᲔᲓᲘᲡ“ შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი 7-თვიანი უქმობის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა. ჟოზე მოურინომ 36 წლის ფეხბურთელი „ნიუკასლთან“ შეხვედრაში ათამაშა.

მატჩის მერე ზლატანმა საინტერესო კომენტარი გაკეთა:

„მოედანზე დაბრუნება ძალიან ემოციური იყო. ამ პერიოდის განმავლობაში მშვიდად ვიყავი და ძალიან ბევრს ვმუშაობდი. ლომები უფრო ადრე ჯანმრთელდებიან, ვიდრე ადამიანები“, – განაცხადა „იბრამ“.

შეგახსენებთ, რომ ზლატანმა მუხლის მძიმე ტრავმა მიმდინარე წლის 20 აპრილს მიიღო და, წინასწარი ვარაუდით, მოედანზე 2018 წლამდე ვერ უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა, შვედმა ტრავმა ნავარაუდევზე ადრე მოირჩინა.

გიორგი ᲨᲝᲗᲐᲫᲔ

◎ ჩოგბურთი

გასროლა ალბიონზე



ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ გამართული წლის შემაჯამებელი ტურნირის ფინალში ბულგარელმა გრიგორ დიმიტროვმა ბელგიელი დავიდ გოფინი 7:5, 4:6, 6:3 დაამარცხა.

მარია შარაპოვას ყოფილი სატრფო 1998 წლის შემდეგ პირველი დებიუტანტია, რომელმაც სეზონის ფინიშზე გაიმარჯვა. 19 წლის წინათ ეს ესპანელმა ალექს კორეჩამ მოახერხა.

დიმიტროვი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელიც დიდი სლემის არცერთ ფინალში არ ყოფილა, მაგრამ შემაჯამებელი ასპარეზობა მოიგო, დავიდ გოფინი კი გახდა პირველი ჩოგბურთელი, რომელმაც ერთ ტურნირზე როჯერ ფედერერს და რაფაელ ნადალს აჯობა, მაგრამ ტურნირი ვერ მოიგო.

გრიგორს კარიერაში ATP-ის 8 მოგებული ტურნირი დაუგროვდა.

ᲕᲘᲢᲐᲚᲘ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

◎ ინტერნეტიდან

ტიფანის ეკლიანი გზები

ᲗᲣ გახსოვთ, ადრეც გაუწყებდით ამერიკაში მცხოვრები ირლანდიელი მოდელის ტიფანი სტენლის შესახებ, რომელსაც გულში ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ტრფიალება აქვს ამოგვირისტებული და იძახის, შემირცხვენია ის ირლანდიელი, რომელსაც „სამყურები“ არ ემშობლიურებაო...

ამ ნოყიერი მდედრის შესახებ სულ ცინცხალი ამბავი ისაა, რომ მოდელობიდან და ფოტოობიექტივის წინ ტიტლიკანობიდან ფეხთაშვერის ფრონტზე გადადის და ისეთ ფილმებში მიიღებს მონაწილეობას, იმის დამნახავი კაცი ცხოვრებას სულ სხვა თვალით შეხედავს.

სანამ ტიფანი სტენლი სიძვის დიაცი გამხდარა, მანამდე ამ ასულის ფანებს გულის გამამაცურება და თვითრწმენის ამაღლება მოუწევთ, რადგან რა უნდა იყოს იმაზე დიდი გამოწვევა, როდესაც შენი კუმირი ასეთ რამეს გპირდება.

ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲠᲐᲭᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

◎ დღესასწაული

კრება წმიდისა მთავარანგელოზთა მიქაელისა, გაბრიელისა, რაფაელისა და სხვათა უხორცოთა ზეცისა ძალთა...

21 ნოემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მთავარანგელოზთა — **მიქაელისა, გაბრიელისა, ურიელისა, სელაფიელისა, ეგუდიელისა, ბარაქიელისა** (ასევე **იერომიელისა** და **ტახნიელისა**) კრების ხსენებას.

საქართველოში მთავარანგელოზთა დღესასწაულს განსაკუთრებულად დღესასწაულობენ თბილისის, ქუთაისის, ჯუმათის, გრემის, მენჯის, კვათანის, შუამთის და სხვა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრებსა და მონასტრებში.

ცნობილია, რომ ადამიანები ღვთის ნებას ანგელოზებისგან იღებენ. სრული ჭეშმარიტებაა იმის მაგალითი, თუ როგორ აუწყა მთავარანგელოზმა გაბრიელმა მარიამ ღვთისმშობელს, რომ ის დედა გახდებოდა კაცობრიობის მხსნელისა იესო ქრისტესი.

აღსანიშნავია ისიც, თუ როგორ გამოისახება ხატწერაში ანგელოზები: მთავარანგელოზი მიქაელი გამოისახება ჯავშნით, ზეთისხილის რტოთი, მთავარანგელოზი რაფაელი — თევზთან და წამლის ჭურჭლით, ურიელი — ხმლით და ცეცხლის ალით, მთავარანგელოზი სელაფიელი — მლოცველის პოზაშია გამოსახული, მთავარანგელოზი იეგუდიელი — მარჯვენაში ოქროს გვირგვინით, მარცხენა ხელში — შოლტით, ბარაქიელი მთავარანგელოზი ვარდისფერი ყვავილებით შემკული სამოსით არის გამოსახული, მთავარანგელოზი იერომიელი და ტახნიელი — სასწორით ხელში — ისინი მიიჩნევიან საღვთო სიყვარულის აღმძვრელად.

ხილული სამყაროს შექმნას თურმე ანგელოზები ესწრებოდნენ, ისინი ადიდებდნენ შემოქმედის სიბრძნეს. მთავარანგელოზთა ხსენების დღესასწაული მსოფლიო საეკლესიო კრებამდე რამდენიმე დღით ადრე დაწესდა.

გიული ლიპარტია

◎ უნიკალურ ობსერვატორიას დახმარება უნდა...

ვაჟა ყულჯანიშვილი:

შორიდან ვუყურებთ, როდის დავკარგავთ ამ ტელესკოპსაც

ასტრონომ-ფიზიკოსის რაგული ინასარიძის ჯგუფი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიიდან დედამიწასთან მოახლოებულ ასტეროიდებს აკვირდება. ერთ-ერთმა ციურმა სხეულმა ჩვენს პლანეტას ცოტა ხნის წინათ ჩაუარა. მონიტორინგის საშუალებით ასტეროიდის დედამიწასთან შეჯახების შემთხვევაში მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილება ხდება, — განმარტავს მკვლევარი.

მზე და მისი სისტემის პლანეტები, ცვალებადი ვარსკვლავები და გარე გალაქტიკური ობიექტები — აბასთუმნის ობსერვატორიიდან აკვირდებიან ყველაფერს, რის საშუალებასაც თითქმის საუკუნის ტელესკოპები იძლევა. რაგული ინასარიძის თქმით, ხუთი წელია, ქართველი მეცნიერები საერთაშორისო პროგრამაში არიან ჩართული, რომლის ფარგლებშიც დაკვირვების ყოველდღიური შედეგები პარიზში იგზავნება.

ტელესკოპი, რომელიც გარე გალაქტიკურ ობიექტებზე დასაკვირვებლად გამოიყენებოდა, 2011 წელს გაფუჭდა და ახლა სამუზეუმო ექსპონატია. ხელსაწყოების ნაწილი წლების წინათ გაიძარცვა, ნაწილი დაზიანდა და უფუნქციოდ დგას. 15-მდე ტელესკოპიდან ახლა მხოლოდ ოთხი მუშაობს, — აცხადებს მზის ფიზიკური კვლევისა და მზის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი ვაჟა ყულჯანიშვილი

ვაჟა ყულჯანიშვილი მზის კორონოგრაფის ბედზე წუხს. ტელესკოპი მუშა მდგომარეობაშია, თუმცა ავარიული შენობის გამო იქ შესვლას ვერავინ ბედავს. უნიკალური სპეკტოგრაფით აღჭურვილი ჰორიზონტული ტელესკოპიც წლებია, ამავე მიზეზით დაკონსერვეს. 70-იან წლებში მზეზე დაკვირვებები ექვსი ტელესკოპით ხორციელდებოდა, ახლა კი მეცნიერები მუშაობენ მხოლოდ ერთით, რომლის მართვის პულტი დაზიანებულია და მისი შეკეთება ყოველდღიურად უწევთ. მზის ფიზიკური კვლევისა და მზის სამსახურის განყოფილების ხელმძღვანელი ვაჟა ყულჯანიშვილი შიშობს, რომ შესაძლოა, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ობსერვატორიის ხელმძღვანელობის პრიორიტეტი საერთაშორისო პროექტებში ჩართვაა. დაზიანებული ხელსაწყოების რეაბილიტაცია მათ გეგმებში არ შედის. მეცნიერებისგან განსხვავებით, ილიას უნივერსიტეტში ფიქრობენ, რომ თითქმის საუკუნის ტელესკოპების შეკეთება დაკვირვების შედეგებს ვერ გაუმჯობესებს. ამჟამად მოლაპარაკებები ერთმეტრიანი დიამეტრის მქონე ტელესკოპის შეძენაზე მიმდინარეობს, — აცხადებს მედიასთან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე ნინო დობორჯგინიძე

აბასთუმნის ობსერვატორიიდან მისი არსებობის 85 წლის მანძილზე სხვადასხვა ციური ობიექტია აღმოჩენილი. ვარსკვლავები და ასტეროიდები ქართველი მეცნიერების სახელებს ატარებენ. ობსერვატორიას განვითარებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიები, სხვა ქვეყნების დაკვირვების შედეგებზე წვდომა და ასტრონომიით დაინტერესებული ახალგაზრდები სჭირდება, — ამბობს აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი მაია თოდუა.

მიწიერი ასტრონომია ყველა ციურ სხეულს ვეღარ სწვდება, ამბობენ მეცნიერები. ასტრონომია ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ძვირად ღირებული დარგია. განვითარებული ქვეყნები ტელესკოპით აღჭურვილი კოსმოსური ხომალდებით მუშაობენ და საკვლევ ობიექტებს ახლო მანძილიდან სწავლობენ, ქართველ მეცნიერებს კი თანამედროვე სტანდარტებისთვის ფეხის აწყობა ოთხი მოძველებული ტელესკოპით უწევთ.

მაია ოველაშვილი

გამოსათხოვარი

„კუს ტბის“ მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ადამიანის, ღირსეული პიროვნების

გურამ გოგაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სულთათანა

ოთარ კანდელაკის გახსენება

ასაკის მატებასთან ერთად დროც რომ იჩქარებს სრბოლას, კარგა ხანია, ამას ვგრძნობთ, თუმცა შეჩვევით ისევე ვერ ვეგუებით, როგორც ახლობლებისა და მეგობრების დაკარგვას.

გუშინ იყო თითქოს, როგორც სიყმაწვილეში, ვხარობდით ერთმანეთის ნახვით, ჩახუტებით, მოფერებით, გვიხაროდა შვილების წარმატებები, გული შეგვტკიოდა არეულ ქვეყანასა და მეგობრების დაკარგვაზე, ახლა კი მოვიხედეთ და... ერთი წელი გასულა უკვე, რაც ოჯახს, მეგობრებს, დედაქალაქს კიდევ ერთი ლამაზი, ჭეშმარიტად კარგი კაცი — ოთარ კანდელაკი დააკლდა.

უსაქმოდ გაჩერებული ოთარი არავის გვინახავს: ჯერ იყო სწავლობდა, მერე სამეცნიერო კარიერას დაადგა და ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია, პედაგოგიურ მოვაწეობასაც უდიდესი წარმატებით ეწეოდა — კარგად გვახსოვს მის მეგობრებს, თუ როგორ უყვარდათ სტუდენტებს და როგორ პატივს მიაგებდნენ კოლეგები, მოცალეობის ჟამს კი საკუთარი ღვინით გვიმასპინძლდებოდა ახლობლებსა და მეგობრებს, ლხინი უყვარდა და მეგობრობის გემოც იცოდა.

თავზარდამცემი იყო მისი უეცარი სიკვდილი, რომელმაც შეუვსებელი სიცარიელე დაუტოვა ყველას, ვისაც მასთან საქმიანი თუ, უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობა ჰქონდა.

გვიყვარხარ, ძვირფასო ოთარ, მუდამ გვენატრები და გვემახსოვრები.

ახლობლები, მეგობრები

ხე-ბუჩქნარი უკანონოდ იჩეხება

შსს-ს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში, ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე 11 პირი გამოავლინეს.

სამართალდამცველებმა ბორჯომის, ადიგენის, ნინოწმინდის, ახალციხის და ასპინძის რაიონებში, მხილებულების ავტომანქანებიდან, უკანონოდ მოპოვებული ხის მრგვალი მორები და სამასალე ფიცრები ამოიღეს, გამოვლენილი ავტომანქანები კი დალუქეს. ამოღებული ხის მასალა გადაგზავნილია შესაბამის ექსპერტიზაზე. გამოძიება ხე-ბუჩქნარის უკანონოდ გაჩეხვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 303-ე მუხლის პირველი ნაწილით).

სუპერმარკეტი „დეილი“ დააყაჩაღეს

ქუთაისში, სულხან-საბას დასახლებაში სუპერმარკეტი „დეილი“ დააყაჩაღეს — სალაროდან წაღებულია 5 000 ლარამდე თანხა, ასევე ალკოჰოლური სასმელები და სიგარეტი.

kutaisipost-ის ინფორმაციით, შემთხვევა 20 ნოემბერს, დილის 5 საათზე მოხდა. თანამშრომლების თქმით, მარკეტში შესული იყო 4 ნიღბიანი რომლებსაც თან ცივი იარაღი, ჰქონდათ, თუმცა ფიზიკური შეურაცხყოფა არავისთვის მიუყენებიათ. ადგილზე მობილიზებულია საპატრულო პოლიცია.

სარფში არადეკლარირებული ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები აღმოაჩინეს

18 ნოემბერს, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, არადეკლარირებული ძვირფასი ლითონების ქვეყანაში შემოტანის ფაქტი აღიკვეთა. საბერძნეთის მოქალაქეს ი.ლ-ს, ეჭვის საფუძველზე, კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროსა (97.53 გრამი) და ვერცხლის (52.33 გრამი) ნაკეთობები აღმოაჩნდა. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 7,957.68 ლარი შეადგინა.



საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს, სანქციის სახით, ფულადი ჯარიმა, 7,957.68 ლარის ოდენობით შეეფარდა.

საქართველო – ღვინის სამშობლო

გავლენიანი ამერიკული გამოცემის „The New York Times“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის უძველეს ისტორიაზე. მასში აღნიშნულია, რომ **„ევროპასა და აზიას შორის მდებარე კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე, ნაყოფიერ ვაკეზე გაშლილი საქართველო, როგორც ჩანს, იმ ადამიანების სამშობლოა, რომლებმაც მსოფლიოში პირველებმა დაიწყეს ვენახის გაშენება, ღვინის დამზადება და ამით დასაბამი მისცეს შარდონეს, კაბერნეს და სხვა ცნობილი ვაზის ჯიშების ღვინოებს, რომელსაც დღეს სიამოვნებით მივირთმევთ“.**

პუბლიკაციაში მიმოხილულია აშშ-ის სამეცნიერო წრეების მიერ მომზადებული გამოკვლევა: საქართველოში, თბილისთან ახლოს მდებარე ორ ადგილზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ თიხის ჭურჭლის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ მის კედლებზე იმ ღვინის ნალექია შემორჩენილი, რომელიც მასში 8 ათასი წლის წინათ იყო ჩასხმული.

სტატიის ავტორი მიუთითებს პატრიკ მაკგოვერნის (პენსილვანიის უნივერსიტეტის მეცნიერ-არქეოლოგის), ენდრიუ უოტერჰაუსის (კალიფორნიის უნივერსიტეტის ქიმიკოსის), დავით ლორთქიფანიძის (საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის), რობერტ დესალის (მოლეკულურ ბიოლოგს), სტივენ ბეტიუკის (ტორონტოს უნივერსიტეტის მკვლევარის) და სხვების დასკვნა-შეფასებებზე, რომელთა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველო მართლაც ღვინის სამშობლოს წარმოადგენს.

ამ თემაზე სტატია გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „ვაშინგტონ პოსტშიც“ სათაურით „ღვინის წარმოების ყველაზე ადრეულ ფაქტს 8-ათასწლოვანი თიხის ჭურჭლები ადასტურებს“.

„The New York Times“ (აშშ)

ელისაბედ მეორისა და პრინცი ფილიპის ქორწინების პლატინის იუბილე

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი და მისი მეუღლე ედინბურგის ჰერცოგი, პრინცი ფილიპი 70-წლიან თანაცხოვრებას აღნიშნავენ. ქვეყნის ისტორიაში ისინი ერთადერთი სამეფო წყვილია, რომელთა ქორწინებამ პლატინის იუბილემდე გასტანა.

ამ დღესთან დაკავშირებით პომპეზური ღონისძიებები არ იგეგმება.სამეფო წყვილი ახლობლებისთვის უინძორის სასახლეში მოკრძალებულ ვახშამს გამართავს. მათი საქორწილო ცერემონია 1947 წლის 20 ნოემბერს ვესტმინსტერის სააბატოში გაიმართა. ელისაბედ მეორე აგრეთვე ერთადერთი მონარქია დიდი ბრიტანეთის ისტორიაში, რომელმაც სამეფო ტახტზე ყოფნის საფირის იუბილე (65 წელი) აღნიშნა.

დიდ ბრიტანეთში ცხოვრება გაძვირდა

მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა ევროკავშირიდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ქვეყნის მოსახლეობას ცხოვრება გაუძვირდა.

რიგით ბრიტანელი ახლა უკვე წელიწადში 400-450 ფუნტით მეტს ხარჯავს. ე.წ. „ Brexit“ შეთანხმების შემდეგ ხალხი გაღარიბდა. ინფლაცია განსაკუთრებით ჩრდილოეთ ირლანდიის მცხოვრებლებს შეეხოთ. ყველაზე მეტად იმპორტირებული პროდუქცია გაძვირდა. ხორბალი, ჩაი, ყავა, რძის ნაწარმი, საიუველირო ნაკეთობები და ავეჯი. ბოლო ერთი წლის მონაცემებით, საკმაოდ მყარმა ვალუტამ ფუნტ სტერლინგმა 10-პროცენტიანი ვარდნა განიცადა.

„მის მსოფლიო“-2017 ინდოელი ლამაზმანი გახდა

18 ნოემბერს ჩინეთის ქალაქ სანიოში ჩატარებულ „მის მსოფლიოს“ კონკურსის გამარჯვებული ინდოეთის წარმომადგენელი მანუში ჩხილარი გახდა. იგი ინდოეთში კარდიოქირურგიას სწავლობს და ოცნებობს ქვეყნის რეგიონებში საავადმყოფოების ქსელი გახსნას. მეორე ადგილზე მექსიკელი ანდრეა მეზე გავიდა, საპატიო მესამე ადგილი კი ბრიტანელმა სტეფანი ჰილმა დაიკავა.

კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის 118 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ეს კონკურსი 1951 წლიდან ტარდება და მასში გარეგნულ სილამაზესთან ერთად, გოგონების ინტელექტს და შინაგან სამყაროსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

პროფესიონალი

პატარა იანმა თავის მეგობარ ბიჭს უთხრა, გუშინ მამაჩემმა ხუთი ზლოტი მომცა, რათა ეზოში ჩამოვსულიყავი და ფეხბურთი მეთამაშაო.

— მერედა, შენ გამოართვი? — დაეკითხა მეგობარი.

— რასაკვირველია, გამოვართვი.

ბიჭებმა ეგრევე ზურგი აქციეს პატარა იანს.

— შორს ჩვენგან! — უთხრა ეზოს გუნდის კაპიტანმა, — პროფესიონალი ყოფილხარ. პროფესიონალებს კი ჩვენ არ ვეთამაშებით.

ძვირფასი პალტო

დიდი ტანსაცმლის მაღაზიის ვიტრინასთან ცოლ-ქმარი ჩერდება.

ვიტრინაში გამოკიდებულია სეზონური ქალისა და მამაკაცის ძვირფასი პალტოები. მამაკაცისა 800 ზლოტი ღირს, ქალისა კი — 1500 ზლოტი. ქმარი ორივე პალტოს ათვალიერებს.

— ჩემი ძველი პალტო სულ დაქიაქდა, ნამდვილად ახალი მაქვს საყიდელი, მაგრამ რა ვქნა, ჩემი ჯიბე ვერ გაუძლებს 2300 ზლოტის გადახდას.

ზუსტი პასუხი

— **რა არის** იპოქონდრიკი?

— ეს ისეთი ადამიანია, — ამბობს ფილოსოფოსი, — მაშინ გრძნობს თავს უკეთესად, როცა თავს ძალიან ცუდად გრძნობს.

სისწრაფის გიჟი

— **ტაქსი** დავიქირავე და რამდენიმე წუთში მივხვდი, რომ სისწრაფის მოყვარულ გიჟთან მოვხვდი. არნახული სიმარჯვით უსწრებდა მანქანებს, გვერდს უვლიდა ფეხით მოსიარულეებს ყველაზე სახიფათო ადგილებში. სულ ცოტა, საათში 100 კილომეტრით მოძრაობდა. ღმერთმანი, თმა ყალყზე დამიდგა, როცა დანიშნულების ადგილას მივედით.

— რატომ?

— **რატომ** და, ტაქსის მძღოლმა ჯიბიდან ლუპა ამოიღო, რათა დაენახა, თუ რამდენი დაწერა მრიცხველმა.

კორპსაძრობი

პატარა იანი მეზობლის კარზე რეკავს. ზღურბლზე მეზობელი გამოჩნდება.

— იან, შენა ხარ? — ეკითხება, — რა გინდა, ამჯერად რას ითხოვ, ჭიქა გინდა თუ თეფში?

— მამამ გთხოვათ ბოთლიდან კორპის ამოსაძრობი გვათხოვეო.

— ჰოო! — გაიხარა მეზობელმა. — მამაშენს უთხარი, რომ ახლავე მე თვითონ მოვიტან.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7268; ევრო - 3.2176;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6097;
100 რუბლი - 4.5750; თურქული ლირა - 0.7014;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6071;
1000 სომხური დრამი - 5.6142.

ამინდი 21 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +20
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +17
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +23
თბილისი: ღამე +7, დღე +19

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge